ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 20 ოქტომბერი, 2023 №207 (9243) ფასი: 80 თეთრი

თურქეთში საქართველოს მოქალაქე მოკლეს

გვ.4

„სალომე ზურაბიშვილს პროკურატურაში ასე მარტივად ვერ მიიყვანენ“

გვ.2

ლელა ჯეჯელავა: „პრეზიდენტის ინსტიტუტს რეპუტაცია შეულახეს. ივანიშვილი რეპუტაციაშელახულებს უკეთ მართავს“

ექნება თუ არა სალომე ზურაბიშვილს ახალი ფუნქცია პოლიტიკურ ცხოვრებაში?

გვ.4

გვ.3

დათო ლორთქიფანიძე: „პრეზიდენტსა და ოპოზიციას უნდათ, ყველაფერი თვითონ დაიბრალონ“

„სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტის რეზიდენციას ოპოზიციის ოფისად გადააქცევს“

„არ გამოვრიცხავ, ამ ერთ წელიწადში არაერთი პოლიტიკოსი ვიხილოთ ციხეში“

გვ.3

გედევან ფოფხაძე: „ქართულ ოცნებას“ ექნება მცდელობა, რომ პრეზიდენტი შინაპატიმრობაში ამყოფოს და ორბელიანების სასახლიდან არ გამოუშვას“

ისტორიები

გვ.5

რატომ დაახრჩო შაჰ-აბასის შვილმა საკუთარი გოგონა

მედიცინა

ასკილის ნაყენი იშვიათი საშუალებაა თავის ტკივილის დროს

მარნეულში 14 წლის მოზარდმა თანატოლი სკოლაში დაჭრა

გვ.4

გვ.4

საქალაქო სასამართლომ დიდ დილომში გარდაცვლილი 12 წლის ბავშვის საქმეზე ბრალდებულ ექსპერტს 2.500-ლარიანი გირაო შეუფარდა

2 გიორგი ვაშაძე: „სანამ სუსი არის რუსი, ქვეყანა წინ ვერ წავა“

7 ლელო ისევ არ აგებს

2 ნეთანიაჰუ: „პამასი ახალი ნაცისტები არიან“

6 რუსებმა შავი ზღვის პატრულირება დაიწყეს

1993230720223

„სალომე ზურაბიშვილს პროკურატურაში ასე მარტივად ვერ მიიყვანენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.



ლელა ჯეჯელავა: „პრეზიდენტის ინსტიტუტს რეპუტაცია შეულახეს. ივანიშვილი რეპუტაციაშელახულებს უკეთ მართავს“

– ქალბატონო ლელა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? რა გვაჩვენა გუშინდელმა დღემ? უამრავი შეფასება მოვისმინეთ, რას იტყვით თქვენ? ეს იყო პრეზიდენტის ინსტიტუტის და პირადად სალომე ზურაბიშვილის მარცხი თუ გამარჯვება, როგორც თავად ბრძანა „პატარა კაცებზე“? როგორია თქვენი შეფასებები?

– მე ვერ გეტყვით, ვინ ვისზე გაიმარჯვა, ან რა იგულისხმება გამარჯვებაში. ის, რომ იმპიჩმენტი ვერ შედგებოდა, ეს თავიდანვე იყო ცნობილი, მაგრამ ის, რომ ამით დაზიანდა ყველა ინსტიტუცია, რომელიც სახელმწიფოსთან ასოცირდება, ეს თუ გამარჯვებაა, მაშინ გაიმარჯვა.

– კერძოდ, ვინ დაზიანდა?

– დაზიანდა საკონსტიტუციო სასამართლო, რომელმაც კონსტიტუციის დაცვის მოტივით მიიღო სრულიად უკანონო გადაწყვეტილება. ასევე დაზიანდა მმართველი პარტია, მათ ვერ უზრუნველყვეს თავის მიერ წამოწყებული იმპიჩმენტის ბოლომდე მიყვანა. მათ ძალიან შელახულ ნდობის რეპუტაციას საერთოდ შემოეცალა თუკი რამე ჰქონდა დარჩენილი. დაზიანდა პრეზიდენტის ინსტიტუტი. რაც არ უნდა იყოს, ახლა ჩვენ გვყავს პრეზიდენტი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, კონსტიტუციის დამრღვევად არის ცნობილი. აბა რა გითხრათ, ვინ გრძნობს თავს გამარჯვებულად? ალბათ ის, ვის მიზნებშიც სახელმწიფო ინსტიტუციების დაზიანება და მისი სრულად ამოძირკვა შედიოდა.

– ქალბატონო ლელა, ბრძანებთ, რომ ისედაც იცოდა „ოცნებამ“, რომ ვერ მოაგროვებდა იმპიჩმენტისთვის საკმარის ხმებსო. მაშინ რაში დასჭირდათ ეს ყველაფერი? რა საჭირო იყო ასეთი სანახაობის მოწყობა?

– ჩვენ ხომ ვიცით, რომ ამ ხელისუფლების არაფორმალური მმართველის მართვის სტილი არის ასეთი, მაქსიმალურად შეულახოს ადამიანს, სახელმწიფო ინსტიტუციას რეპუტაცია და მერე ამ რეპუტაციაშელახულს მისცეს საშუალება, რომ კვლავ იყოს ხელისუფლებაში. თქვენ ხომ გახსოვთ, გახარიასთან დაკავშირებით რა გააკეთა ივანიშვილმა? შს მინისტრი, რომელმაც აიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა 20 ივნისთან დაკავშირებით და როდესაც ყველა მის გადადგომას მოითხოვდა, ამ დროს დანიშნა პრემიერ-მინისტრად. ის რეპუტაციაშელახულებს უკეთ მართავს.

– ანუ ბიძინას თამაშია ეს ყველაფერი?

– მე არ ვიცი თამაშია, გართობაა თუ სხვა რამ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ყველანი ვაკეთებდით ერთი და იგივე შეფასებას, რომ ეს იყო ცირკი, წარმოდგენა, მთელი თვე-ნახევარი ამ საცირკო წარმოდგენით იცხოვრა მთელმა ქვეყანამ. რადგან თავად ვაღიარებთ ყველანი, რომ საცირკო წარმოდგენის მონაწილეები გვყავს, ეტყობა, არის მთავარი მომთვინიერებელი, ბატონი ბიძინა და მას ეს ფუნქცია აქვს შეთავსებული და ამ ფორმით გვათვინიერებს სუყველას.

– ქალბატონო ლელა, საუბრობენ იმაზეც, რომ ბიძინა ივანიშვილმა, მიზანმიმართულად მიაყენა ზიანი ირაკლი კობახიძეს და მის გუნდს. თქვენ ასე განიხილავთ ამ საკითხს?

– მიზანმიმართულად მიაყენა თუ არ მიაყენა, ფაქტი ერთია, კობახიძე და მისი გუნდი, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურას ვერ დაიწყებდა, ბიძინა ივანიშვილთან თანხმობის გარეშე. ეს ხალხი ბიძინას გარეშე, სიზმარსაც ვერ ხედავს ღამე. ფაქტია, რომ ეს პროცედურა მასთან შეთანხმებით იყო დაწყებული. ბიძინას რომ არ უზრუნია, ჰქონოდა იმპიჩმენტისთვის საკმარისი ხმები, ფაქტია ესეც. თუ ამ პროცედურის ინიციატორები მიზანს ვერ მიაღწევდნენ ბოლომდე, ცხადია, მათი რეპუტაცია დაზიანდებოდა. ეს რომ უნდა სცოდნოდა, ამასაც ვერ გავექცევით. ამიტომ ესეც მიზანმიმართულად გააკეთა. ანუ ყველაფერი იყო მის სტილში, ვგულისხმობ ივანიშვილს. როგორც ირაკლი კობახიძემ პრეზიდენტს წამოაძახა, რომ კოჭლი იხვი იქნება ამიერიდანო, ანუ ამოცანა ეს იყო, სალომე ზურაბიშვილს, როგორც პრეზიდენტს, მისდგომოდა ჩრდილი. რაც არ უნდა იყოს, უმაღლესმა სასამართლო ორგანომ მას ბრალი დასდო კონსტიტუციის დარღვევაში. ამიტომ, გვინდა არ გვინდა, ჩრდილი მიადგა პრეზიდენტს და პრეზიდენტის ინსტიტუტს, თანაც დადასტურებულად. აქედან გამომდინარე, თუ სალომე ახლა არის კოჭლი იხვი, კობახიძე და ღარიბაშვილი, რომელთაც წამოიწყეს ეს იმპიჩმენტის პროცედურა, საერთოდ უფეხო იხვები არიან.

– რას იტყვით იმ ვერსიაზე, რომ ეს ყველაფერი ივანიშვილის და ზურაბიშვილის ერთობლივი თამაშია?

– რასაკვირველია, ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება. ზოგადად გვიყვარს ჩვენ კონსპირაციული თეორიები. თითქოს ისე ყველაფერი სახეზე არ გვქონდეს. ასეც რომ იყოს, რეალობა ხომ ერთია? რომ განხეთქილება აღმასრულებელ ხელისუფლებასა და საპრეზიდენტო ხელისუფლებას, ასევე საპარლამენტო ხელისუფლებას და საპრეზიდენტო ხელისუფლებას შორის, სახეზეა. მართვის სტილი – გათიშე და იბატონე, ბიძინა ივანიშვილს არ მოუგონია. მასზე უფრო ადრე, მასზე ბევრად ჭკვიანმა ადამიანებმა თქვეს.

– ახლა რა მოცემულობა გვაქვს?

– პრეზიდენტი, რომელიც ამბობს, რომ მას ვერ შეაშინებენ და მისთვის მთავარი ამოცანა არის ქვეყნის ევროინტეგრაციისთვის ბრძოლა და ის ამ გზაზე იქნება ურყევი, ფაქტია, რომ მან ამ გზაზე უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები. დარწმუნებულები ვართ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება მას არ მისცემს არც ვიზიტების უფლებას და არც სხვა ტიპის კომუნიკაციის უფლებას. ანუ ჩვენ სახეზე გვაქვს ღია დაპირისპირება. სალომე ზურაბიშვილი, რომელიც აქამდე იყო უფუნქციო პრეზიდენტი, ის ხდება პერსონა, პოლიტიკური გავლენების მქონე, უკვე ქვეყნის შიგნით. თუ ის აგრძელებს ევროინტეგრაციისთვის ბრძოლას, მას ამ ბრძოლაში ეყოლება მოკავშირეები როგორც პოლიტიკური პარტიების, ასე პერსონების სახით.

– რამდენად ვიხილავთ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის სახით ახალ ოპოზიციონერ ლიდერს? ასე უყურებთ თქვენ ამ საკითხს?

– მე კი არ ვუყურებ ასე საკითხს, მოცემულობა შეიქმნა ასეთი. სალომე, რომელიც არის უკვე კონფრონტაციაში, როგორც აღმასრულებელ, ასევე საპარლამენტო ხელისუფლებასთან, რომელიც ვერასოდეს ვერ მიიღებს თანხმობას ხელისუფლებისგან, ვერც ერთ მის შემდგომ ნაბიჯზე, აბა სხვა რა დარჩენია? გარდა იმისა, იბრძოლოს მისთვის ხელშესახები სხვადასხვა მეთოდით. სახლში ჯდომის და მშვიდად პრეზიდენტობის გალევის გეგმა რომ ჰქონოდა, მაშინ, როგორც აქამდე იყო დამჯერი პრეზიდენტი, ისე იქნებოდა ბოლომდე.

– ანუ არსებობს რაღაც გეგმა?

– რასაკვირველია. რომ არ არსებობდეს, მაშინ ეს ყველაფერი იქნებოდა სიგიჟე.

– ეს გეგმა რამდენად შედის ბიძინა ივანიშვილის ინტერესში?

– ბიძინას ინტერესში რომ არ შედიოდეს, რეალურად არც არაფერი არ იქნებოდა. მას აქვს ბერკეტები საიმისოდ, რომ რაც მას არ უნდა, ის არ ხდებოდეს. კარგად ვიცით, რომ ამ ქვეყნის ევროინტეგრაცია შედის ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებში. ამ შემთხვევაში, უფუნქციო პრეზიდენტი თავის თავზე იღებს ფუნქციას, რომ იქნება ამ ქვეყნის მოსახლეობის, თანაც აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესების გამტარებელი. თუნდაც ბიძინასთან თანხმობით ხდებოდეს ეს ყველაფერი, მე მაინც ვთვლი, რომ ეს პოზიტიური მოვლენაა, თუკი ივანიშვილს კიდევ აქვს იმის მანევრის საშუალება, რომ საქართველო მთლიანად არ მოწყდეს ევროპულ კურსს.

– ირაკლი კობახიძემ რამდენჯერმე ახსენა პროკურატურა. ეს საით მიანიშნებს, აშანტაჟებენ პრეზიდენტს?

– კი, აშანტაჟებენ და პრეზიდენტმა უთხრა, ვერ შემაშინებთო. ახლა რაც უფრო მეტად დაემუქრებიან სალომეს, რაც უფრო მეტად შეუშლიან ხელს და აუკრძალავენ ელემენტარულ რაღაცებს, მით უფრო მეტად გაზრდიან მის გავლენებს ქვეყნის შიგნით. ეს არის აქსიომა.

– თუკი გადაწყვეტილია, რომ პრეზიდენტი ზურაბიშვილი უნდა გახდეს ოპოზიციური ძალის ლიდერი, როგორ ფიქრობთ, ის ვადის ამოწურვამდე ხომ არ დატოვებს თანამდებობას?

– ყველაფერი შესაძლებელია. ხოლო როცა პროკურატურასა და სისხლის სამართლის დევნაზე საუბრობს უმრავლესობა, კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ სალომე არის საფრანგეთის მოქალაქე. სალომე არ არის ვიღაც, ვისაც ასე მარტივად მიიყვანენ პროკურატურაში. ხელისუფლება ამ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რაღაცა პროცესი მუდმივად არსებობდეს და ჩვენი ყურადღება მიპყრობილი იყოს ამ თემისკენ. არის მცდელობა, გაცილებით მნიშვნელოვანი თემებიდან ყურადღება გადავიტანოთ ასეთ თემებზე. ხელისუფლება გვიქმნის დღის წესრიგს, რომელზედაც ჩვენ მუდმივად ვართ რეაგირების რეჟიმში და ამიტომ ვერც ვერასოდეს ვერ ვქმნით პოლიტიკურ დღის წესრიგს.

გიორგი ვაშაძე: „სანამ სუსი არის რუსი, ქვეყანა წინ ვერ წავა“

– სუსი არის რუსი – ღია საუბრის დროს არ პასუხობენ კითხვებს და ილუზია გაქვთ, რომ დახურულ რეჟიმში უპასუხებენ?! ამ „ბლეფში“ მონაწილეობას აზრი არ აქვს! – ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ ჟურნალისტებთან სხდომათა დარბაზის დატოვების შემდეგ განაცხადა, სადაც სუსის ანგარიშის მოსმენა, გრიგოლ ლილუაშვილის მოხსენების შემდეგ, დახურულ რეჟიმში გაგრძელდა.

ვაშაძის თქმით, მათ ანგარიშვალდებულება აქვთ არა საზოგადოებასთან, არამედ რუსეთთან, ამიტომ არ იძიებენ არც ოთარ ფარცხალაძის და არც კორუფციულ საქმეებს.

– საჯარო დისკუსია არ უნდათ და ეს აჩვენებს, რომ ლილუაშვილს სალაპარაკო არ აქვს ხალხთან, არ აქვს პასუხები კითხვებზე. კითხვები რა არის – რა ხდება რუსეთის აგენტ ფარცხალაძესთან დაკავშირებით, რატომ არ არის გამოძიება ისეთივე ინტენსივობით, როგორც ეს დაიწყეს ჩვენი პარტნიორების მიერ მხარდაჭერილ არაერთ პროექტთან დაკავშირებით, რა ხდება კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, იძიებს ღარიბაშვილის ჩარტერს, როგორც ყველაზე დიდ კორუფციულ სკანდალს?! – არ იძიებს. ამიტომ დახურეს სხდომა, რომ ხალხის ყურადღების მიღმა ჩაფარცხონ ეს ყველაფერი და ამ „ბლეფში“ მონაწილეობას აზრი არ აქვს.

სუსი არის რუსი. როგორც კი რუსეთის ინტერესების გამტარებლებს მოვიშორებთ, მერე გვეშველება, სანამ სუსი არის რუსი, წინ ვერ წავა ქვეყანა და ვერანაირ ეროვნულ უსაფრთხოებაზე ჩვენ ვერ ვისაუბრებთ. ღია საუბრის დროს არ პასუხობენ კითხვებს და ის ილუზია გაქვთ, რომ დახურულ რეჟიმში რაიმე კითხვას უპასუხებენ სუსის და რუსის წარმომადგენლები?! – განაცხადა ვაშაძემ.

სოფო ჯაფარიძე: „მშიშარა რუსმა ოლიგარქმა მშვიდობიანად ჩასულ ხალხს კონტრაქციის წევრები დაახვედრა“

– ეს ადამიანები „ქართული ოცნების“ მშიშარა რუსი ოლიგარქის მსხვერპლი არიან – განცხადება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა სოფო ჯაფარიძემ ჭორვილაში მიმდინარე დაპირისპირების კომენტირებისას გააკეთა.

მისი თქმით, „მშიშარა რუსმა ოლიგარქმა“ მშვიდობიანად ჩასულ ხალხს კონტრაქციის წევრები დაახვედრა, რომლებიც სიტუაციის არევასა და მსვლელობის ჩაშლას ცდილობდნენ.

ჯაფარიძე დარწმუნებულია, რომ ჭორვილაში ენმ-ის წევრების წინააღმდეგ მიყვანილ ადამიანებს ბიძინა ივანიშვილმა და მისმა „პოლიტიკურმა ინსტრუმენტებმა“ დაავალეს ძალადობრივი ქმედებების განხორციელება.

– მე ამ ადამიანებს ვერაფერს ვეტყვი, რადგან ეს ადამიანები „ქართული ოცნების“ მშიშარა რუსი ოლიგარქის მსხვერპლი არიან, რომელმაც ვერაფერი ქნა და ასე დაგვახვედრა სოფელი მშვიდობიანად ჩამოსულ ხალხს. მშიშარა რუსმა ოლიგარქმა და მისმა პოლიტიკურმა ინსტრუმენტებმა დაგვახვედრეს ეს ადამიანები და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს მათ არ უნდათ, მაგრამ მათ ეს ბრძანება მისცეს. რა ქნან ამ ადამიანებმა, პოლიციამ, არავის უნდა ის, რაც აქ ახლა ხდება. ჩვენ მათი მტრები არ ვართ, ჩვენ მათი მეგობრები, დები და ძმები ვართ, ამიტომ ყველა ერთად უნდა შევიდეთ ევროპაში.

დღეს რომ ვკითხე ადამიანს, რატომ გვიპირისპირდებოდა, აქციაზე ხართო მითხრეს, ჩვენ არ ვართ აქციაზე. საქართველოს და ევროკავშირის დროშები მათთვის აქციასთან ასოცირდება, ეს მათ ასე ჩაუნერგეს. არ მეშინია არავისი, სულ მარტომ რომ მომიწიოს სიარული, მე, სოფო ჯაფარიძე ვივლი რეგიონებში, შევხვდები ყველას და ავუხსნი, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ევროპაში.

ბოლო წლების განმავლობაში რუსულ მედიასაშუალებებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, ყველა ერთად როგორ იწონებს „ქართულ ოცნებას“, ხოლო დასავლელი პარტნიორები აკრიტიკებენ. დღეს ბიძინა ივანიშვილი, რუსი ოლიგარქი, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ევროპას დაგვაცილოს. დღეს საქართველოს ციხეში ჰყავს ის პრეზიდენტი, რომელმაც ჭაობიდან ამოიყვანა ქვეყანა, – აღნიშნა სოფო ჯაფარიძემ.

ნეთანიაჰუ: „ჰამასი ახალი ნაცისტები არიან“

ჰამასი ახალი ნაცისტები არიან და ჩვენ მათ ერთად უნდა ვებრძოლოთ, როგორც მსოფლიო, ცივილიზებული სამყარო გაერთიანდა ნაცისტებთან საბრძოლველად და გაერთიანდა ჰამასთან საბრძოლველად, – განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„არ გამოვრიცხავ, ამ ერთ წელიწადში არაერთი პოლიტიკოსი ვიხილოთ ციხეში“

გედევან ფოფხაძე: „ქართულ ოცნებას“ ექნება მცდელობა, რომ პრეზიდენტი შინაპატიმრობაში ამყოფოს და ორბელიანების სასახლიდან არ გამოუშვას“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, პრეზიდენტის იმპიჩმენტის ჩავარდნის შემდეგ, „ქართული ოცნება“ აქტიურად საუბრობს პროკურატურაზე. ამბობენ, რომ პრეზიდენტს ახლა იმუნიტეტი იცავს, მაგრამ ვადის ამოწურვის შემდეგ, არაფერი დაიცავს. პროკურატურაზე რატომ ხდება აქცენტირება?

– პრეზიდენტს იცავს იმუნიტეტი. საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგაც, სამართლებრივად ვერავინ, ვერაფერს ვერ მოედავება სალომე ზურაბიშვილს. თუ მსგავსი რამ გაბედეს, იქნება ისეთივე აბსურდი, რაც უკვე იყო. თუმცა, მე მოვლენების განვითარების სულ სხვა სცენარი წარმომიდგენია.

ერთი წლის შემდეგ, როდესაც „ქართული ოცნება“ არჩევნებში დამარცხდება და პროევროპული ძალები მოვლენ ხელისუფლებაში, სალომე ზურაბიშვილი კი არა, ირაკლი კობახიძე, ბიძინა ივანიშვილი სამშობლოს ღალატისთვის გასამართლდებიან.

რაც შეეხება ერთ წელიწადს, რომელიც არჩევნებამდე დარჩა, არ იქნება მარტივი. ამ პერიოდს ხელისუფლება არა მხოლოდ სალომე ზურაბიშვილის დასატერორებლად, მთლიანად საზოგადოების, ხალხის დასატერორებლად გამოიყენებს. ისინი ეცდებიან სახელმწიფო ინსტიტუტები – პროკურატურა, სასამართლო თავიანთ სამსახურში ჩააყენონ, როგორც ეს ვიხილეთ საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში. ძალიან ბევრი პოლიტიკური შეკვეთა იქნება ამ ინსტიტუტების მიმართ და ისინიც შეასრულებენ. ამ ერთ წელიწადში, არ გამოვრიცხავ, არაერთი პოლიტიკოსი ვიხილოთ ციხეში, ისინი, ვინც მოსვენებას არ აძლევთ. როგორც ნავალნია ციხეში გამოკეტილი, როგორც ნიკა გვარამია იყო დაკავებული. გვარამია დღეს ციხეში იქნებოდა, რომ არა პრეზიდენტის შეწყალება.

სალომე ზურაბიშვილის არა მხოლოდ საერთაშორისო ვიზიტები არ მოსწონთ, არამედ შეწყალების დისკრეცია, რომელიც პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლებაა და რომელიც ასევე კონსტიტუციითაა გარანტირებული. ნიკა გვარამიას შეწყალება რომ არ მოეწონა „ქართულ ოცნებას“, ამაზე კობახიძემ ისაუბრა. სალომე ზურაბიშვილი არის გარანტი, რომ საქართველო უკანონო პატიმრებით არ გაივსება, როგორც არის რუსეთის ციხეები გავსებული. რაც შეეხება სააკაშვილის შეწყალებას, ამ შემთხვევაში, პოლიტიკური და სამართლებრივი კონიუნქტურა არსებობს.

ქვეყნის პუტინიზაციას ვინც შეეწინააღმდეგება, ყველას დაიჭერდნენ, მათი ნება რომ იყოს. ვინც ამ გზაზე გადაეღობებათ, ყველას ციხეში ამოაყოფინებენ თავს. ასეთ დროს, როდესაც ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი ერთ ჯიბეშია მოქცეული, ძალიან მნიშვნელოვანი არის პრეზიდენტის დამოუკიდებელი ინსტიტუტის არსებობა.

თავის დროზე, ამიტომ ვიბრძოდით დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არსებობისთვის. უმრავლესობის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელსაც ბიძინა ივანიშვილიც ესწრებოდა, სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, ამ აუცილებლობაზე ვსაუბრობდი, ირაკლი კობახიძე ჩემ გვერდით იჯდა, ადგა და გვითხრა, ყველას გადაგივლითო. ეს არის ბოლშევიკური სტილი. ქვეყანას, როგორც უნდათ, ისე მართავენ. რასაც უნდათ, იმას აკეთებენ და ამ გზაზე თუ ვინმე შეეწინააღმდეგება, უსწორდებიან, მაგრამ შარშანდელი თოვლივით გაქრებიან. ამ ქვეყანაში არაერთი პოლიტიკური ელიტა გამქრალა, რომელიც ქვეყნის ინტერესების საზიანოდ მოქმედებდა.

– უშვებთ, რომ სალომე ზურაბიშვილმა თავისი პოლიტიკა შეცვალოს და მათ დაყვეს?

– არა, გამორიცხულია. რამდენადაც მე ვიცნობ. მე მგონია, რომ უფრო აგულიანებენ. არ მგონია, ამ გზაზე უკან დაიხიოს. ამავე დროს, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება საზოგადოების განწყობას. რამდენად ექნება საზოგადოებას, ხალხს განცდა, რომ მზაობა გამოავლინონ ქვეყნის ევროპული მომავლის, დასავლური კურსის ბოლომდე დასაცავად. სალომე ზურაბიშვილს, როგორც პიროვნებას, ჩვენი დასაცავი არაფერი სჭირს. ჩვენ, ჩვენი დასავლური მომავალი უნდა დავიცვათ. ეს უნდა გავაცნობიეროთ. ამ ყველაფრის მერე, რა თქმა უნდა, „ქართულ ოცნებას“ ექნება მცდელობა, რომ პრეზიდენტი შინაპატიმრობაში ამყოფოს და ორბელიანების სასახლიდან არ გამოუშვას, მაგრამ ამას უნდა შევეგუოთ?! ეს, როგორც ჩვეულებრივი მოცემულობა, უნდა მივიღოთ?! ამაზე ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული. ქართველები ქაქუცა ჩოლოყაშვილის სულიერი შთამომავლები ვართ, არ მგონია, ამ ხალხის დამორჩილება ასე მარტივი იყოს. ბევრს უცდია და კისერიც მოუტეხავს. ეს არ არის ლიტონი სიტყვები, ეს რეალობაა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

„სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტის რეზიდენციას ოპოზიციის ოფისად გადააქცევს“

დათო ლორთქიფანიძე: „პრეზიდენტსა და ოპოზიციას უხდათ, ყველაფერი თვითონ დაიბრალონ“

პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ შედგა, თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ის კონსტიტუციის დამრღვევად გამოცხადდა. რა მოიგო ამ პროცესით „ქართულმა ოცნებამ“? „ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

გულიკო ბალაძე

– ბატონო დათო, პარლამენტში მიმდინარე საიმპიჩმენტო პროცესს თვალყურს თუ ადევნებდით? ცოტა დამთრგუნველი პროცესი იყო.

– რას გულისხმობთ? ამ საკითხში ორი მხარეა – ხელისუფლება და პრეზიდენტი. ხელისუფლება თავის პოზიციას იცავს. საკონსტიტუციო სასამართლომ ხელისუფლების პოზიცია გაამყარა, რომელმაც თქვა, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია.

პრეზიდენტი ამბობს, კონსტიტუცია არ დამირღვევია, ყველაფერს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებისთვის ვაკეთებთო, მაგრამ აქ მარტივ თემაზეა საუბარი, კონსტიტუციით და კანონმდებლობით, საქართველოს საგარეო პოლიტიკას მთავრობა განსაზღვრავს.

საქართველოს მთავრობა რომ განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, ეს არის ამოსავალი. საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში, საქართველოს პრეზიდენტს მაშინ აქვს საგარეო პოლიტიკური აქტივობის განხორციელების უფლებამოსილება, თუ მთავრობა მისცემს თანხმობას, ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით ქვეყანა წარმოადგინოს.

ყველა ნიუანსი, რომელიც სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებებში პროტოკოლით არის გათვალისწინებული, ძალიან ბევრ ნიუანსს შეიცავს, რომლის არცოდნა პერსპექტივაში ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობისთვის დამაზიანებელი შეიძლება იყოს.

პრეზიდენტს ამ ინფორმაციებზე პირდაპირი წვდომა არ აქვს. იმიტომ კი არა, რომ ამ შემთხვევაში პრეზიდენტი ცუდია, ინსტიტუციურად არ აქვს ინფორმაციაზე წვდომა. მთავრობის თანხმობა ნიშნავს, რომ ვთქვათ, საფრანგეთის პრეზიდენტთან საუბრის დროს, მას ჰქონდეს წვდომა ყველა იმ დოკუმენტზე, შეთანხმებაზე, მოსალოდნელ პერსპექტივებზე, რომელსაც საქართველოს მთავრობა თავისი დიპლომატიური არხებით საფრანგეთის ხელისუფლებასთან აწარმოებს.

თუ საქართველოს მთავრობა თავისი უფლებამოსილების დელეგირებას არ მოახდენს და ინფორმაციას არ მიაწოდებს, პრეზიდენტს არ შეიძლება ეს ინფორმაციები ჰქონდეს.

პრეზიდენტი ევროპაში რომ ჩავიდა და საფრანგეთის პრეზიდენტს დაელაპარაკა, საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიეცითო, რა ილაპარაკეს, არ ვიცი, მაგრამ, ალბათ, მაგაზე ელაპარაკებოდა.

– იმის თქმას, საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიეცითო, ინფორმირება არც სჭირდება. ეს საქართველოს გაცხადებული პოლიტიკაა.

– გასაგებია, მაგრამ, როდესაც პრეზიდენტი ვიზიტით მიდის, გვერდით მუნიციპალიტეტში გადასვლა ხომ არ არის, საზღვარგარეთ მიდის და მას თან თავისი კანონით გათვალისწინებული პროცედურები ახლავს, ბიუჯეტის ხარჯვა და სხვა პროცედურებია განსახორციელებელი. საქართველოს ფარგლებს გარეთ პრეზიდენტის ყველა გადაადგილება, კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს.

– საქმე აქამდე როგორ მივიდა?

– საქმე აქამდე იმის გამო მივიდა, რომ სალომე ზურაბიშვილმა საერთაშორისო ტრიბუნიდან ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები გააკეთა.

– კერძოდ?

– მაგალითად, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ შარშან საქართველოს კანდიდატის სტატუსი სამართლიანად არ მიანიჭეს, ან კიდევ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ ეკუთვნის.

– სალომე ზურაბიშვილს ასეთი განცხადებები რატომ უნდა გაეკეთებინა? სალომე ზურაბიშვილსა და ხელისუფლებას, პარლამენტს, მთავრობას და მმართველ პარტიას შორის პირველი ბზარი საიდან გაჩნდა?

– პირველი ბზარი ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით მისი განცხადებების შემდეგ გაჩნდა. ეს ხომ არავის მოუგონია, სალომემ თქვა. მისი განმარტება, ამას არ ვგულისხმობდიო, წონადი არგუმენტი არ არის.

სალომე ზურაბიშვილმა განცხადებები გააკეთა. ფაქტია, მის განცხადებებთან დაკავშირებით ხელისუფლებამ სათანადო რეაგირება მოახდინა.

მეგონა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, პოლიტიკური პარტიები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გაიზიარებდნენ. გამოდის, საკონსტიტუციო სასამართლოსაც პატივს არ სცემენ. სალომე და ოპოზიცია ერთ მხარეს დადგნენ, მეორე მხარეს დგას ხელისუფლება თავისი მხარდამჭერებით. ეს არის დღევანდელი მოცემულობა.

სალომე ამბობს, ქართველმა ხალხმა მხარი დამიჭირაო, ანუ მხარი დამიჭირა იმ ხალხმა, რომელიც ევროპულ არჩევანს აკეთებსო. ხაზგასმით მინდა ვთქვა, მისი ამომრჩეველი არის „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი, ვინც სალომე ზურაბიშვილი აირჩია.

ის ჩვენ ავირჩიეთ, მისი არჩევა ჩვენ უზრუნველვყავით. ევროპული ამომრჩეველი ჩვენი ამომრჩეველია. ევროპული განწყობის ამომრჩეველი „ქართული ოცნების“ ამომრჩეველია.

ნაცმოძრაობის ევროპული კურსი თითქოს ცალსახა და გაცხადებულია. ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლები არჩევნებში ხმას სალომეს ხომ არ მისცემდნენ იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ისინი მხარს სხვა კანდიდატს უჭერდნენ.

– პრეზიდენტის საიმპიჩმენტო სხდომაზე სალომე ზურაბიშვილმა „ოცნებას“, ფაქტობრივად, უთხრა, რუსულ რელსებზე ხართ გადასული (ხელისუფლებას პრორუსული უწოდა) და არ დავუშვებ, საქართველომ ევროპულ გზას გადაუხვიოსო. პრორუსული, პრორუსული, პრორუსულიო რომ იძახიან, სათანადოდ პასუხს რატომ არ სცემთ?

– მთავრობა ცალსახად ამბობს, რომ ეს არასწორი შეფასებაა. მთავრობა რეკომენდაციების შესრულების გზაზე დგას, მაგრამ ნახეთ, რა ნარატივი შემოიტანეს, საქართველო კანდიდატის სტატუსს მაინც მიიღებს დათქმით, ოღონდ, ეს საქართველოს მთავრობის დამსახურება არ იქნებაო. ამაშია მთელი მზაკვრობა. თუ საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღეს, მთავრობის გადაწყვეტილებების გამო იქნება. აბა, ისე ხომ არ იქნება. ხომ არ იტყვიან, ოპოზიციურ პარტიებს ვუჭერთ მხარს და სტატუსს ამიტომ ვანიჭებთო.

მთავრობა არის არჩეული და ხალხის ნების გამომხატველი, რადგან მთავრობა უმრავლესობას წარმოადგენს. თუ ევროპული სტრუქტურები უმრავლესობის ნებას გაიზიარებენ და სტატუსს მოგვანიჭებენ, ე.ი. მხარს მთავრობას უჭერენ.

სალომე ზურაბიშვილს და ოპოზიციას უნდა, ყველაფერი თვითონ დაიბრალონ და მიიწერონ, თითქოს მთავრობა არაფერ შუაშია და საქართველო კანდიდატის სტატუსს მაინც მიიღებსო. სტატუსს თუ მაინც მიიღებს, თავს რატომ იკლავენ.

– ანუ თუ საქართველოს სტატუსს მიანიჭებენ, იტყვიან, პრეზიდენტისა და ოპოზიციის დამსახურებააო, თუ არ მოგვანიჭებენ, მთავრობის ბრალი იქნება და ორივე შემთხვევაში მთავრობა დაზარალებული გამოდის?

– დაიმახსოვრეთ, ჩვენ დათქმულ ვადაში ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მოგვანიჭებენ. ვინ შეეცდება ამ მიღწევის თავის თავზე მიწერას, ეს საკითხის ტექნიკური მხარეა, ოპოზიციის პიარტექნოლოგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

– საქართველოში სტუმრად მყოფმა ბორელმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს ევროპა უარყოფითად უყურებს.

– ევროპა და ცივილიზებული დასავლეთი არის კანონის უზენაესობა. როდესაც ქვეყანაში კანონი ირღვევა და სახელმწიფო თავის კანონმდებლობას პატივს სცემს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს.

თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადასტურებს, რომ ადგილი აქვს კანონის დარღვევას, მე მგონი, ეს უფრო მეტი ევროპულობა და ცივილიზებულობაა, ვიდრე კანონის დარღვევისთვის ყურადღების არ მიქცევა. კონსტიტუცია რომ დაირღვა, ეს ცალსახაა.

თუ პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მხარს არ დაუჭერს, ანუ ოპოზიცია ხელისუფლებას არ შეუერთდება, ეს იქნება სიგნალი ევროპისთვის, რომ საქართველოში ოპოზიციური სპექტრი ხელისუფლების ზეწოლისაგან, რაღაც შანტაჟის ენით ლაპარაკისაგან თავისუფალია, რადგან ოპოზიცია არავინ აიძულა, ხელისუფლების მხარე დაეჭირა.

თუ ერთი კაცის მმართველობაა და ერთ კაცს სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის მოწყობა უნდოდა, როგორც ამას ისინი ამბობენ, მაშინ იმასაც მოახერხებდა, პრეზიდენტის იმპიჩმენტი ბოლომდე მიყვანილიყო, რაც არ მოხდა. ეს იმას ნიშნავს, რომ არავინ არავისზე არ ძალადობს.

გადაწყვეტილების მიღებაში თავისუფლებაა. ვინც თვლის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მხარი დაუჭიროს, დაუჭერს, ვინც არ დაუჭერს, მისი ნებაა.

– პრეზიდენტმა გარკვეული პერიოდის წინ, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებთან შეხვედრები რომ მოაწყო (თითქოს ქვეყანაში

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ექნება თუ არა სალომე ზურაბიშვილს ახალი ფუნქცია პოლიტიკურ ცხოვრებაში?

მარიამ მჭედლიშვილი

თავდაჯერებული და რიხიანი განცხადებების მიუხედავად, „ქართული ოცნება“ პრეზიდენტის წინააღმდეგ ჩავარდნილი იმპიჩმენტის შემდეგ ტრიუმფატორად არ გამოიყურება. დამაჯერებელი არ არის მმართველი გუნდის გამონათქვამები იმაზეც, რომ სალომე ზურაბიშვილი „ნაციონალების“ პრეზიდენტია.

პრეზიდენტის მიმართ კონსტიტუციის დარღვევის ბრალდება სპეციფიკურია და „მოღალატეობასთან“ არ ასოცირდება. მას ედავებიან, მთავრობის ნებართვის გარეშე ხვდებოდა ევროპელ ლიდერებს.

„ოცნების“ ლიდერების მტკიცებით, პრეზიდენტის მიზანი იყო ევროინტეგრაციისთვის ხელის შეშლა. ძალიან ბევრს სჯერა, რომ სალომე ზურაბიშვილი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეს აკეთებდა და კანდიდატის სტატუსის მიღებას ხელს უწყობდა.

მმართველი პარტიის ლიდერების მტკიცებით, მათ წინასწარ იცოდნენ, რომ საიმპიჩმენტოდ პარლამენტში საკმარისი ხმები არ აქვთ. მათი სიტყვებით, ეს ყველაფერი მაინც საჭირო იყო და ამ პროცესის შედეგი მიღწეულია – აღდგა საკონსტიტუციო წესრიგი, გაიშიფრა პრეზიდენტის ალიანსი კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობასთან და პრეზიდენტი თვითნებობას ვეღარ გაბედავს.

ძნელად წარმოსადგენია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამით შეძლოს ახალი ამომრჩევლის მოზიდვა ან უცხოელი პარტნიორების რამეში დარწმუნება.

• • •

სალომე ზურაბიშვილს ახალი ფუნქცია ექნება?

ეს ბუნდოვანება ქმნის ნიადაგს სხვადასხვა ვერსიისთვის. ერთი ვერსიით, ბიძინა ივანიშვილი სალომე ზურაბიშვილს იყენებს. რამდენიმე ოპოზიციონერმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ივანიშვილი სალომე ზურაბიშვილისგან აყალიბებს ლიდერს, რომელმაც პროდასავლური ხმები უნდა მოაგროვოს.

არსებობს ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ქართულ ოცნებაში“ აშინებთ სალომე ზურაბიშვილის ფაქტორი. ისინი არ გამორიცხავენ, რომ ის პრეზიდენტობიდან გადადგება და სათავეში ჩაუდგება დიდ პროდასავლურ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც ნდობით ისარგებლებს დასავლეთში.

მმართველი პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე სალომე ზურაბიშვილს პროკურატურით ემუქრება. ითქვა, რომ თუ პრეზიდენტი საზღვარგარეთ უნებართვო ვიზიტებს არ მოიშლის, პროკურატურა დაიწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას მის წინააღმდეგ.

მოქმედ პრეზიდენტს იმუნიტეტი იცავს და მისი დაპატიმრება ასე არ ხდება.

თვითონ სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ მას პროკურატურით ვერავინ დააშინებს. ის ამბობს, რომ საქართველოს დატოვებას არ აპირებს და თავის ფიცს ბოლომდე უერთგულებს.

თავისი გამოსვლისას პრეზიდენტმა საგარეო პარტნიორებს მიმართა:

– ანტიევროპული იმპიჩმენტის მიუხედავად, საქართველო არ მიატოვოთ. რუსეთს არ უნდა მიეცეს საშუალება, ამ რეგიონში თავისი გავლენა გააძლიეროს.

მმართველმა გუნდმა სალომე ზურაბიშვილს ბოლო ორი თვის განმავლობაში დიდი რეკლამა გაუწია. თუ „ქართულ ოცნებას“ სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური გააქტიურება მართლაც აფრთხობს და ეშინია, რომ ის დასავლეთიდან მხარდაჭერილი დიდი პოლიტიკური გაერთიანების ლიდერი ხდება, მაშინ გამოდის, რომ მთელი ამ ორომტრიალით „ქართულმა ოცნებამ“ სალომე ზურაბიშვილს დიდი სამსახური გაუწია.

იგეგმებოდა თუ არა პრეზიდენტის გადაყენება? საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ირწმუნებიან, რომ თავიდანვე არ ჰქონდათ იმპიჩმენტის ბოლომდე მიყვანის იმედი, იცოდნენ, რომ საკმარისი მომხრეები (100 დეპუტატი) არ ჰყავდათ.

ამასთან, მუდმივად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ „ოცნება“ აქტიურად მუშაობს იმ ოპოზიციასთან, რომელიც იმპიჩმენტს არ ემხრობა და ცდილობს მის გადაბირებას. ყველაზე ხშირად გარიგების მონაწილეებად სახელდებოდნენ ნაცმოძრაობის დეპუტატები.

ნაციონალურმა მოძრაობამ ადრევე გამოაცხადა, რომ კენჭისყრას საერთოდ არ დაესწრებოდა. ეს დაპირება შესრულდა. ასევე მოიქცა ოპოზიციის უმრავლესობა. ოპოზიციონერებიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, იმპიჩმენტს მიემხრო მხოლოდ ინჯიას ჯგუფი „ევროპელი სოციალისტები“. ალეკო ელისაშვილმა წინააღმდეგ მისცა ხმა.

„მოქალაქეების“ ლიდერი ალეკო ელისაშვილი აღნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ მიზანი პრეზიდენტის გადაყენება იყო. ამას ვერ მიაღწია და დამარცხდა. მისი თქმით, „რუსული კანონის“ ჩავარდნის შემდეგ ეს მმართველი პარტიის მეორე სერიოზული მარცხია. ელისაშვილის შეფასებით, „ოცნებას“ უნდოდა ზურაბიშვილის სამაგალითოდ დასჯა, მაგრამ „ვერ გაქაჩა“. უმრავლესობა ხმების მოსაგროვებლად ძალ-ღონეს არ ზოგავდა, მაგრამ, ამაოდ:

– ვერც გადაბირებით, ვერც დაშანტაჟებით, ვერც მოსყიდვით არ გამოუვიდათ.

უმრავლესობის წევრები იხტიბარს არ იტეხენ.

გურამ მაჭარაშვილი აცხადებს:

– საქართველოს კონსტიტუციამ პრეზიდენტი კუთხეში მიაყენა და ღირსება აღიდგინა. პრეზიდენტი ყველა კონსტიტუციურ ორგანოსთან კონფლიქტშია. ამბობს, რომ საქართველოში არ არის დემოკრატია და არც ერთი ინსტიტუტი არ არის დამოუკიდებელი, გარდა პრეზიდენტის ინსტიტუტისა.

საქართველოში განვითარებულ საიმპიჩმენტო მოვლენებს ბევრმა პოლიტიკოსმა უწოდა სპექტაკლი და ცირკი. მათ შორის მათ, ვინც სალომე ზურაბიშვილს „ქართული ოცნების“ ლიდერებთან გარიგებულად არ მიიჩნევს. არაერთხელ ითქვა, რომ „ოცნებამ“ გადაიტანა ყურადღება რეალური მწვავე პრობლემებიდან.

– ბოლო ორი თვე, სერიოზულ საკითხებზე მსჯელობის ნაცვლად, ხელოვნურად შექმნილ კრიზისებზე საუბარში დაიხარჯა. ეს სცენარი ირაკლი კობახიძემ დაწერა და შოუს ინტენსიურობის გაზრდისათვის მასში თანამონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტი, – აცხადებს პარტია „ხალხისათვის“ ლიდერი ანა დოლიძე.

იმპიჩმენტის ჩავარდნის დღე შეაფასა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა. ის მიიჩნევს, რომ ფაქტობრივად გაფორმდა კოალიცია სალომე ზურაბიშვილსა და ნაცმოძრაობას შორის.

– გაფორმდა ანტიქართული კოალიცია. ჩვენ რაც ვთქვით თავიდან, ზუსტად ისე მოხდა. ვთქვით, რომ იყო კონსტიტუციის დარღვევა და ეს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა კიდეც. ვთქვით, რომ სალომე ზურაბიშვილს პარლამენტში ექნება ნაციონალური მოძრაობის პროტექცია. ეს პროტექცია და ლეგიტიმაცია გაფორმდა. დავინახეთ, რომ შედგა ანტიქართული კოალიცია, – აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა.

მმართველი გუნდი ცდილობს, ყველაფერი ნაცმოძრაობას მიაბას. თუ სალომე ზურაბიშვილი ნამდვილად გახდება პოლიტიკური გაერთიანების ლიდერი, საეჭვოა, რომ იქ გადამწყვეტი როლი ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდეს.

„სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტის რეზიდენციას ოპოზიციის ოფისად გადააქცევს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თანხმობის მიღწევა უნდოდა და შემდეგ თვითონ აღმოჩნდა წინააღმდეგობაში „ქართულ ოცნებასთან“), სალომე ზურაბიშვილზე გარკვეული გავლენა იმ შეხვედრის დროს ხომ არ მოახდინეს?

– არა, ვერ დაგეთანხმებით. მსგავს ღია შეხვედრებში ასეთი გავლენები ვერ ხდება. აქ ბევრი კითხვის ნიშანია.

– რა კითხვის ნიშნებია?

– მაგალითად, რატომ აღმოჩნდა ქალბატონი სალომე რადიკალური ოპოზიციის მხარეს? ეს არის კითხვა, რომელზე პასუხიც, იმედია, გამოჩნდება. სალომე ზურაბიშვილის მოწოდება, თქვენ ქუჩაში დადექით, მე დარბაზში მარტო ვიბრძოლებ და მსგავსი რაღაცები, ქუჩაში მღელვარების შექმნისკენ მოწოდებაა.

– სალომე ზურაბიშვილის ფრთიანი ფრაზა იყო „ქაჯები მიდიან, კი არ მოდიანო“ თქვენ ამბობთ, რომ ახლა ის სწორედ იმ „ქაჯებთანაა“, ანუ პრეზიდენტი ნაცმოძრაობის მხარესაა. რა გამოდის?

– ფაქტია, რომ ისინი ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთის პოზიციას იზიარებენ. მისი ეს პოზიცია რამდენად რელევანტურია, ამას საზოგადოება ძალიან კარგად ხედავს.

– შეიძლება პრეზიდენტი გადადგეს და ოპოზიციას სათავეში ღიად ჩაუდგეს?

– სალომეს ხასიათებიდან გამომდინარე, გადადგომა გამორიცხულია. ოპოზიციას სათავეში პრეზიდენტის პოზიციიდან ჩაუდგება.

– ანუ გინდათ თქვათ, რომ პრეზიდენტის რეზიდენციას ოპოზიციის შტაბად აქცევს?

– კი, კი, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. სალომე არ გადადგება, შეიძლება ოპოზიციის ლიდერი გახდეს, რადგან ამ პოზიციიდან ეს მისთვის ბევრად უფრო კომფორტული იქნება.

– რა მოიგო „ოცნებამ“ ამ პროცესით?

– გააჩნია, პროცესს საიდან დავინახავთ. თუ პროცესს დავინახავთ სამართლებრივი კუთხით, ვფიქრობ, „ოცნებამ“ მოიგო, დადგინდა, რომ პრეზიდენტი კონსტიტუციას არღვევს. თუ ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის კუთხიდან შევხედავთ, მაშინ „ოცნებამ“ ვერაფერი ვერ მოიგო, რადგან ვერ გადააყენა.

თუმცა, ისტორია ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. ისტორიაში დარჩება ის, რომ სალომე ზურაბიშვილმა კონსტიტუცია დაარღვია. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა დარღვევა აღიარა, მაგრამ მმართველ პოლიტიკურ ძალას საკმარისი ხმები არ ჰქონდა და ეს საკითხი არ გავიდა.

სამართალი

სროლა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან

თბილისში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან სროლა იყო. როგორც ცნობილია, შელაპარაკება პარკინგის გამო დაიწყო.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში „ფორმულას“ უთხრეს, რომ გამოძიება დაწყებულია.

თურქეთში საქართველოს მოქალაქე მოკლეს

თურქეთში საქართველოს მოქალაქე ბანოვშა მამიშოვა მოკლეს. მას თურქეთის მოქალაქემ თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყა.

67 წლის მამიშოვას ცხედარი ტრაბზონში ერთ-ერთ მიტოვებულ შენობაში იპოვეს.

მკვლელი წარსულში ნასამართლევი იყო. პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან სათვალთვალო კამერების ჩანაწერები ამოიღო.

კაცმა დანაშაული აღიარა, არსებული ინფორმაციით, მკვლელობის მოტივი ფული გამო დავა გახდა.

მომხდარზე გამოძიება გრძელდება.

საქალაქო სასამართლომ დიდ დიღომში გარდაცვლილი 12 წლის ბავშვის საქმეზე ბრალდებულ ექსპერტს 2.500-ლარიანი გირაო შეუფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ დიდ დიღომში გარდაცვლილი 12 წლის ბავშვის საქმეზე, მტკიცებულებების დაზიანებაში ბრალდებულ ექსპერტს, დავით გრიგოლიას 2.500– ლარიანი გირაო შეუფარდა.

გარდა ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ის ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტის თანამდებობიდან გათავისუფლდება.

ბრალდების მხარე დავით გრიგოლიასთვის 5.000-ლარიანი გირაოს შეფარდებას და მის თანამდებობიდან გადაყენებას ითხოვდა. მოსამართლემ ბრალდების მხარის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ თამარ მჭედლიშვილმა გამოაცხადა.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 11 დეკემბერს, 11:00 საათზე გაიმართება.

„უფლებები საქართველოს“ ადვოკატები და ბავშვის დედა ბრალდებული ექსპერტისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას ითხოვდნენ. ექსპერტს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი გულგრილობა) აქვს წარდგენილი.

შეგახსენებთ, რომ 12 წლის ანა იანუშაიტიტეს გარდაცვალების საქმეში საკვანძო მტკიცებულებების დაზიანების შესახებ „უფლებები საქართველომ“ საზოგადოებას 2023 წლის 5 ივლისს აცნობა. საუბარია იმ კატეგორიის ნივთმტკიცებებზე, რომელთა გამოკვლევითაც, შესაძლოა, დადგენილიყო გოგონას სხეულზე უცხო ადამიანის დნმ-ის არსებობის ფაქტი ან/და საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოება.

დიდ დიღომში 12 წლის მოზარდი, ანა იანუშაიტიტე გარდაცვლილი მიმდინარე წლის 16 მარტს იპოვეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

მარნეულში 14 წლის მოზარდმა თანატოლი სკოლაში დაჭრა

14 წლის მოზარდმა თანატოლი სკოლაში დაჭრა. ფეხის არეში მიყენებული ჭრილობით სკოლის მოსწავლე კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც პირველადი დახმარება აღმოუჩინეს. ეს ფაქტი მარნეულის მეორე საჯარო სკოლაში მოხდა.

მოზარდები ერთმანეთს გაკვეთილების მსვლელობის დროს დაუპირისპირდნენ, რა დროსაც ერთ-ერთმა ცივი იარაღი ამოიღო და თანატოლს დაარტყა. როგორ აღმოჩნდა, რომ მოზარდი სკოლაში დანით შეიარაღებული დადიოდა, ეს ახლა გამოძიებამ უნდა დაადგინოს. დაჭრილი მოსწავლის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ის სახლში გაწერეს.

რატომ დაახრჩო შაჰ-აბასის შვილმა საკუთარი გოგონა

მეფეების ცხოვრებაში მრავალი საკრალური დამთხვევა არსებობს.

გვესაუბრება სამეფო დინასტიების მკვლევარი, იურისტი სოლომონ თეზელაშვილი.

ინტერვიუ ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნდა.

სოლომონ თეზელაშვილი:

– მეცნიერები დიდხანს ფიქრობდნენ, როგორ გაეშიფრათ უძველესი წარწერები. სავარაუდოა, რომ 5 ათასი წლის წინანდელი წარწერები უნდა ასახავდეს მეფეთა ცხოვრებას, რადგან, ცხადია, საკუთარ ისტორიას მხოლოდ გამარჯვებული მეფეები დაუტოვებდნენ შთამომავლობას.

საინტერესო ისტორია აქვს ბაბილონის მეფე ხამურაპს (ჩვ.წ. აღ-მდე 1792-1750 წლები), რომლის სახელსაც უკავშირდება ბაბილონის აღზევება. ხამურაპმა მოღვაწეობა სამართლიანობის აღდგენით დაიწყო. მან ვალები აპატია მოსახლეობას. მისი მმართველობის დროს ქვეყანა გაძლიერდა და გამდიდრდა. ხამურაპმა ქვეყანა ოლქებად დაყო, რომელთაც მეფეს დაქვემდებარებული ჩინოვნიკები ჩაუყენა სათავეში. იმისთვის, რომ მიწათმფლობელები არ გაკოტრებულიყვნენ, მიწის გაყიდვა აკრძალა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ მან სამართლის კანონების ცნობილი კრებული დატოვა, რომელთაც სიკვდილამდე უკეთებდა შესწორებას.

– თქვენ ციფრების საკრალურ დამთხვევაზეც ამახვილებთ ყურადღებას.

– რაღაცნაირი ციფრია 40 წელი. არამარტო ხამურაპს, სხვა ფეხბედნიერ მეფეებსაც 40 წლის მანძილზე უწევდათ მმართველობა. რაღაც მისტიკური, საკრალური უნდა იყოს ეს ციფრი. ისევე, როგორც პეტრე პირველისა და დავით აღმაშენებლის მმართველობას შორის 600 წლიანი შუალედი. პეტრესა და დავითის მიერ წარმოებულ ძირითად ომებს შორის სხვაობაც 600 წელია, ასევეა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაც. ყველაფერი ემთხვევა, რაც გვაფიქრებინებს, რომ რაღაც კანონზომიერება არსებობს ბუნებაში. ხამურაპი როცა მივიდა ბაბილონში, მას იგი განადგურებული დახვდა, მაგრამ უცბად დაიწყო რეფორმა. იგი იმ პერიოდის უჭკვიანესი ადამიანი გახლდათ, მისი საზრიანობის საფუძველი იყო სიკეთე. იტყვიან ხოლმე, ივანე მრისხანე და პეტრე I ტირანები იყვნენო. რა თქმა უნდა, ტირანული ელემენტები მათ ბევრი ჰქონდათ, მაგრამ ამ ადამიანებმა გააძლიერეს სახელმწიფო. მათში სახელმწიფოებრივი განცდა არსებობდა და მიაღწიეს კიდევაც. დავით წინასწარმეტყველშიც იყო ღვთაებრივი, ზებუნებრივი და, ამავდროულად, ძალიან მიწიერი და ცუდიც. თუმცა მას მიეკუთვნება ფსალმუნების წიგნი. ისეთი დონის ადამიანებს, როგორიც დავით აღმაშენებელია, ირგვლივ სინათლე მოჰქონდათ. ამიტომ იყო იგი სხვებისგან განსხვავებული, უცნაური. როცა ომები მიმდინარეობდა, წიგნების ყუთები მიჰქონდა. ერთხელ იმდენად გაერთო წიგნის კითხვაში, ლამის თურქ-სელჩუკების ტყვე აღმოჩნდა. ძალიან მიუახლოვდნენ და მცირე რაზმის დახმარებით ძლივს მოახერხა იქიდან დაღწევა. დავითი მეფე იყო, ამიტომ მისი თანამებრძოლნი ვერ ბედავდნენ, ეთქვათ, მტერი მოგვადგაო. წიგნის კითხვაში ისე ჩაერთო, ვეღარ შეაწუხეს. მარიამ დედოფლის ხატს, რომელსაც ის განუყრელად ატარებდა, მოხვდა მტრისგან მისთვის ნასროლი ისარი. ესეც საოცრებაა. ასეთი ადამიანების სიკვდილიც კანონზომიერია.

– უცხოელ მეფეებს შორის თითქოს მომეტებულად იგრძნობა დაპირისპირება, მათ შორის, გვაროვნული დაპირისპირებაც, ვიდრე ჩვენთან. რატომ ხდებოდა ასე, მათში შედარებით ნაკლებია ადამიანური განცდა?

– ამასთან დაკავშირებით მახსენდება შაჰ-აბას I. ქეთევან დედოფლის წამების მიუხედავად, ეს მრისხანე კაცი უდავოდ ნიჭიერი იყო. ამბობენ, ქართული იცოდაო, მართლაც, ქართული ეთნოსის წარმომადგენლები მის კარზე მრავლად იყვნენ.

– ამბობენ, შაჰი საიდუმლო ბრძანებებსაც ქართულად გასცემდაო.

– დიახ, შაჰ-აბასი ტანად პატარა კაცი გახლდათ, მაგრამ კარგი გარეგნობის. მისგან განსხვავებით, აღა-მაჰმად ხანი არ იყო კარგი ჯიშის, ეს ეტყობოდა კიდეც. მოგეხსენებათ, იგი დაასაჭურისეს და ჰორმონები დაკარგული, ფემინიზებული ჰქონდა. შაჰ-აბასს 4 შვილი ჰყავდა და ოთხივე მოკლა. ინტრიგების ისეთ ქსელში ეხვეოდა, ხშირად ვეღარ არკვევდა, ვინ იყო მისი მოკეთე. მის ერთ-ერთ შვილს – ხოდამანდეს, (რომელიც შაჰმა ბოლოს მოკლა) ხელში ჩაუვარდა საეჭვო წერილი, სადაც შაჰს წერდნენ, შვილი აჯანყებას გიმზადებსო. იგი მამასთან შევიდა, წერილი მიაწოდა, აი, ასე ცდილობენ ცილისწამებასო. შაჰის შვილი მართალი იყო, მაგრამ აბასმა მაინც ბრძანა, თვალები დათხარეთო. ხოდამანდეს მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა, სახელად ფატიმა, რომელიც შაჰ-აბასს ძალიან უყვარდა. წარმოიდგინეთ, რა ფიქრებმა მოიცვა ხოდამანდე, რომ საკუთარი გოგონა დაახრჩო, რათა მამამისი – შაჰი გაემწარებინა.

– სამეფო კარზე ყოველთვის მეტი ინტრიგები იყრის თავს.

– სამეფო კარი ყოველთვის მოცული იყო ინტრიგებით. განსაკუთრებულია ჩვენი სამეფო გვარი, მარტო ის რად ღირს, რომ ბრძოლებით განამებულ ერეკლე მეფეს თავდავიწყებით უყვარდა ქართული ფოლკლორი. იმ მძიმე პერიოდშიც კი ქართული ხალხური სიმღერების შეგროვება დაავალა ყველას, რათა ისინი გადაერჩინა.

– რამდენად კანონზომიერი იყო რუსეთისთვის, რომ მათ უცხო წარმომავლობის ხელისუფალნი მართავდნენ?

– რუსეთში გერმანული შტოები მოდიოდნენ ხელისუფლების სათავეში. რა თქმა უნდა, რუსები ამას არ აღიარებენ და არც აწყობთ. ეკატერინე კარგი მეფე იყო, მაგრამ – გერმანელი. ლენინის პერიოდში იქაურ ხელისუფლებაში 82% ეთნიკური ებრაელი მოხვდა. იმ დროს რუსეთის მმართველობაში ქართველი ცოტა იყო, ასევე, სომეხი, აზერბაიჯანელი. თუმცა რუსების რაოდენობა დაახლოებით 10% არ გამოდიოდა. ეს იმით აიხსნება, რომ რუსები კარგი სამართავი ხალხია. ალბათ გასაკვირი არცაა, რომ ძველი რუსები წერდნენ კარიოგებს, შკედებს, ბალოდით და გვმართეთო.

– მსოფლიო დინასტიებს შორის ვის გამოარჩევდით?

– ისტორიიდან სპარსეთის მეფეები მიზიდავს, შაჰ-აბასის პერიოდს არ ვგულისხმობ, არამედ ძველ მეფეებს. პართია როცა არსებობდა, სულ სხვა ემოცია ჰქონდათ იმდროინდელ მეფეებს – დარიოსს, ქსერქსეს.

– ისტორიაში ასევე ძლიერ პერსონადაა აღიარებული მითრიდატე პონტოელი.

– მითრიდატე ნახევრად ქართული ეთნოსის წარმომადგენელი გახლდათ. მითრიდატე პონტოელი ბუნებით ძალიან ჰგავს ქართველ კაცს, ის გულადი მებრძოლი გახლდათ. საწამლავს რომ არ გაეჭრა მასზე, სპეციალურად სვამდა და სხეულს იწრთობდა. ტყვედ რომ არ ჩაეგდო თავის შვილს, ჯიბეში შენახული ჰქონდა საწამლავი, რათა ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში თავი მოეკლა და არ მიეცა თავისი თავი საჯიჯგნად. მაგრამ თვითმკვლელობა ვერ შეძლო, ამიტომ ირბინა, რათა მისგან ენერგია გასულიყო და საწამლავი მორეოდა. საინტერესოა ნაპოლეონის პერსონაც. მშიშარა კაცი არ ყოფილა, მაგრამ როცა ეუბნებოდნენ, ბოროდინის ბრძოლაში კიდევ ჩავებათო, მან თქვა, არაო. მიკვირს ხოლმე, რადგან ომის გიჟი იყო, გაანადგურებდა ყველაფერს. გოეთე წერდა, ეს იყო კაცი, რომელმაც თავისი სახელის გულისთვის ყველაფერი გაჟლიტა. ალექსანდრე მაკედონელის მსგავსად, არც ფული უყვარდა. ნაპოლეონი მისი საშუალებით გამდიდრებულ მაღალჩინოსნებს პირდაპირ ეუბნებოდა, მე თქვენ დიდება მოგიტანეთ, სალონები აგიგსეთ ოქრო-ვერცხლითო. ამ დროს თვითონ არ აინტერესებდა სიმდიდრე და ფუფუნება.

– ეტყობა, იმპერატორების ჩვეულებაა, რომ სახელზე გიჟდებიან.

– სტალინიც ასე იყო. მეტად საინტერესო სიტყვები დაიბარა მან, რაც ალექსანდრე მაკედონელის გამონათქვამის ანალოგიურია: მე გარდავიცვლები, მაგრამ ჩემს საფლავს ნაგვით აავსებენ, ყველაფერს მე დამაბრალებენო. მართლაც აუხდათ ეს სიტყვები.

– მართალია, რომ ევროპაში შვედეთის მეფეს გამოარჩევენ?

– შვედებს მეფეებად გუსტავები ჰყავდათ და ჰყავთ. შვედები სკანდინავიის არისტოკრატიულ ეთნოსად მიიჩნევა. სკანდინავიის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, შვედების მაღალი რასა აშკარაა. ეს ეტყობა კიდეც მის მოქალაქეებს. შვედს რომ შეხედავ, ცოტა სხვანაირია. ისე გახმაურებული მეფეები არ ჰყავთ, როგორც რომაელებს, ბერძნებს, სპარსებს, მაგრამ მათი ღირსება ისაა, რომ შვედები არიან. კონგრესებზე, მიღებაზე მათ სხვა დინასტიების წარმომადგენლებიც გამოარჩევენ. კარლოს მე-12-მ პეტრე I-თან აწარმოა დიდი ბრძოლები, ის უბრალო მეფე არ ყოფილა, კარლოსი დახვეწილი პიროვნება გახლდათ. მან პეტრეს რამდენიმეგზის ომი გაუმართა. შვედები სტაბილური ემოციის ხალხია. ისინი ცივ დინებას ემორჩილებიან. მაშინ, როცა ჩვენ კავკასიელები, სამხრეთელი ხალხი, ემოციიდან გამოვდივართ.

– იაპონიაში, ჩინეთში რატომ იყო კანონზომიერი იმპერატორების ინსტიტუტის შექმნა? თავისი სიუზერენის მიმართ ბუნებით მორჩილი ხალხია?

– იდოლოთები, ჩინეთსა და [illegible] ჩილებოდნენ მეფის კანონს, ისევე, როგორც ხდებოდა ფარაონის დროს ეგვიპტეში. მთელი ძალაუფლება ერთის ხელში გახლდათ კონცენტრირებული. ასეთი მორჩილებით ეს აღმოსავლელი ხალხი წარმატებას აღწევდა.

– იაპონიაში იმპერატორის ბრძანების გამო კამიკაძეობაზე მიდიოდნენ ამერიკელების წინააღმდეგ, რამაც უმრავი იაპონელი გაჟლიტა.

– მახსოვს, იაპონიამ წყევლა ჩაუტარა მოწინააღმდეგის ჯარს, რამაც გაჭრა. როგორც ჩანს, ასეთი ფორმები მუშაობს, როცა მთელი ერი ერთად შეიკვრება, ასეთ დროს წარმოთქმულ სიტყვებს დიდი ძალა აქვთ.

მედიცინა

ასკილის ნაყენი იშვიათი საშუალებაა თავის ტკივილის დროს



– თავი ყველაზე ხშირად მაშინ გტკივათ, როცა ორგანიზმი, მათ შორის სისხლძარღვები, დანაგვიანებულია წიდით. უპირველეს ყოვლისა, გაიწმინდეთ ორგანიზმი. შემდეგ გამოიყენეთ ნაყენი ვალერიანის ძირების, მარწყვის ფოთლების, კრაზანას, პიტნის, გვირილას, კალენდულას ყვავილების. უფრო მეტხანს იყავით სუფთა ჰაერზე ძილის წინ, მეტი იარეთ, ნუ დაივიწყებთ კარგ განწყობას, პოზიტიურ ემოციებს. როგორ მოამზადოთ ნაყენი? აიღეთ თითო კოვზი ვალერიანი, პიტნის, კრაზანის, მარწყვის ფოთლები. დააყარეთ ცოტა გვირილას და კალენდულას მშრალი ფოთლები. დაასხით 1 ლიტრი ადუღებული წყალი, რამდენიმე წუთი გააჩერეთ ცეცხლზე. გააციეთ, გაწურეთ. სვით მეოთხედი ჭიქა ორჯერ ან სამჯერ დღეში.

❖ ❖ ❖

– 1 სუფრის კოვზი ქვამარილი ჩავყაროთ 1 ლიტრ წყალში, კარგად ავურიოთ. ცალკე ავიღოთ 80-100 გ 10%-იანი ნიშადურის სპირტი, დავამატოთ 10 გ ქაფურის სპირტი. ნარევი შევანჯღრიოთ და შევაერთოთ მარილის ხსნართან. წარმოიქმნება თეთრი ფანტელები, ჭურჭელი დავხუროთ და ვანჯღრიოთ მანამდე, სანამ ისინი არ გაქრება.

„სასწრაფო დახმარების“ მიქსტურის გამოყენება შეიძლება მთელი წლის განმავლობაში. თავის ტკივილის მოსაშორებლად მიქსტურა შევათბოთ წყლის აბაზანაზე, შევისველოთ მთელი თავი და ღამით შევიხვიოთ თბილი თავშლით.

❖ ❖ ❖

– აიღეთ ახალი ლიმნის ქერქი, გაასუფთავეთ თეთრი „სარჩულიდან“, მიიდეთ სველი მხრიდან საფეთქლებზე რამდენიმე ხნით. მალე ქერქის ქვეშ კანი გაგიწითლდებათ და აგექავებათ, თავის ტკივილი კი გაქრება.

❖ ❖ ❖

– პიტნა – 1 ნაწილი, თავშავა – 1 ნაწილი, თხაწართხალა – 1 ნაწილი. 1 სუფრის კოვზ ნაკრებს დაასხით 500 მლ მდუღარე წყალი, შეფუთული დადგით 30 წუთის განმავლობაში, მიიღეთ 1/2 ჩაის ჭიქა.

❖ ❖ ❖

– ბარამბოს 15 გ ბალახს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, შეფუთული დადგით 30 წუთის განმავლობაში. დალიეთ 1-2 სუფრის კოვზი 5-6-ჯერ დღეში.

❖ ❖ ❖

– თავშავას 1 სუფრის კოვზ ბალახს 0,5 ლიტრ მდუღარე წყალს ასხამენ. 30 წუთს შეფუთულს დგამენ. სვამენ 0,5-2 ჩაის ჭიქას დღეში 2-3-ჯერ თავის ტკივილების დროს. მოცემული რეცეპტის გამოყენება აკრძალულია ორსული ქალებისთვის!

ნერვული დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

❖ ❖ ❖

– ასკილის ნაყენი იშვიათი საშუალებაა თავის ტკივილის დროს, რადგან იგი ამცირებს შიდა ქალის წნევას. ასკილის ნაყენი მზადდება ასე: ვიღებთ 1 ჭიქა ასკილის ნაყოფს, ვასხამთ 1 ლიტრ ადუღებულ წყალს, ვამატებთ შაქარს, ვაყოვნებთ ნახევარ საათს და ვიღებთ განუსაზღვრელი რაოდენობით.

❖ ❖ ❖

– დააყენეთ მწვანე ჩაი, დაუმატეთ 1 მწიკვი (ცერა თითითა და საჩვენებელი თითით აღებული) პიტნა (დაქუცმაცებული). 1 ჭიქა ასეთი ჩაის დალევიდან 15-20 წუთის შემდეგ თავის ტკივილი გაივლის.

❖ ❖ ❖

– 1 სუფრის კოვზი კრაზანას ბალახი, 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყლის დასხმის შემდეგ 15 წუთის განმავლობაში ხარშეთ დაბალ ცეცხლზე, სვით 1/4 ჩაის ჭიქა დღეში 3-ჯერ.

საზოგადოება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ხატია ბუნიათიშვილმა ფესტივალზე „ევროპალია-საქართველო“ დაუკრა

მოფენა ევროპაში პირველად იმართება და ბრიუსელის ნატიფი ხელოვნების ცენტრშია წარმოდგენილი. გამოფენა 14 იანვრამდე გასტანს და 25 მხატვრის 300-ამდე ექსპონატს აერთიანებს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის მუზეუმებიდან და კერძო კოლექციებიდან.

მეორე გამოფენა – „საქართველო – შეხვედრების ადგილი“ 27 ოქტომბერს გაიხსნება ბრიუსელის ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმში. აქ 4 თვის განმავლობაში საქართველოს მუზეუმებში დაცული 200-ამდე ექსპონატი გამოიფინება. ექსპოზიცია ასახავს საქართველოს ისტორიას, კულტურას, ხელოვნებას ნეოლითის ხანიდან მე-18 საუკუნის ჩათვლით, სადაც წარმოდგენილი იქნება საქართველოს ეროვნული და ვანის მუზეუმების კოლექციები. საქართველოს საზღვრებს მიღმა პირველად იმოგზაურებს ქუთაისის, ბათუმის, ონისა და დმანისის მუზეუმების კოლექციები. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ქართულ ხელოვნებასთან დაკავშირებული 4 უნიკალური ნიმუში, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ მუზეუმებშია (ლუვრი, მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი, ბერლინის ეროვნული ბიბლიოთეკა, ტიროლის სახელმწიფო მუზეუმი) დაცული.

ექსპოზიციაზე დამთვალიერებელი ნახავს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ეროვნული არქივის, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს ხელოვნების სასახლის კოლექციებსაც.

თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებას ფესტივალზე წარადგენს მსოფლიოში აღიარებული ქართველი არტისტების კარლო კაჭარავას, თეა ჯორჯაძის, ანდრო ვეკუას შემოქმედება, ელენე ჩანტლაძისა და ანდრო ერაძის ექსპოზიციები.

საფესტივალო პროგრამა მოიცავს ტრადიციული, პროფესიული და თანამედროვე მუსიკის კონცერტებს. ქართულ ტრადიციულ მუსიკას ევროპელი მსმენელი ეცნობა საქართველოს ფოლკლორული ანსამბლების: „დიდგორის“, „ადილეის“, „ბასიანის“, „დები ჩამგელიანების“ შემოქმედებით.

ფესტივალში მონაწილეობენ ქართველი მუსიკოს-შემსრულებლები: ხატია ბუნიათიშვილი, სანდრო გეგეჭკორი, ცოტნე ზედგინიძე, ლიზა ბათიაშვილი, ვერიკო ჭუმბურიძე და მარიამ ბაწაშვილი.

ქართველი და ბელგიელი მუსიკოსები ფესტივალის მაყურებელს გააცნობენ თანამედროვე ქართულ ელექტრონულ მუსიკას.

მკითხველი ფრანგულ და ჰოლანდიურ ენებზე გაეცნობა 6 თანამედროვე ქართველი პოეტი ქალის შემოქმედებას. წარმოდგენილი იქნება გერმანიაში მოღვაწე ქართველი მწერლის ნინო ხარატიშვილის პროზა.

„ევროპალიაზე“ წარდგება რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრი, ფოთის თეატრი, სამეფო უბნის თეატრი და ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“.

ფესტივალზე გაიმართება ქართული კინოს რეტროსპექტივაც. საფესტივალო პროგრამა მოიცავს ქართველი და ევროპელი ხელოვანების ერთობლივ პროექტებს – ქორეოგრაფიულ თუ მუსიკალურ, მულტიდისციპლინურ პერფორმანსებს ნათია ჩიკვაიძის, ანუშკა ჩხეიძის, თამო ნასიძისა და სხვა თანამედროვე ქართველი არტისტების მონაწილეობით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რუსებმა შავი ზღვის პატრულირება დაიწყეს

რუსეთის დიქტატორი ვლადიმერ პუტინი ჩინეთში ჩავიდა. აქ ის თავის ჩინელ კოლეგას სი ცზინპინს შეხვდა. პუტინმა საუბრის დიდი ნაწილი არა რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებს, არამედ უკრაინის ომს დაუთმო.

ვლადიმერ ვლადიმიროვიჩმა მეტი დაკონკრეტება არ ისურვა, თუმცა მისმა შემდგომმა ფრაზებმა თვით ჩინური აუდიტორიაც კი გაამხიარულა. პუტინმა განაცხადა, რომ უკრაინელი სამხედროები შავ ზღვაზე შეტევაზე გადავიდნენ. ისინი თავს ესხმიან რუსეთის ხომალდებს და ძირავენ მათ.

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინული კონტრშეტევა „ჩაიშალა", პუტინმა განაცხადა, რომ უკრაინული არმია წინ მიიწევს ზაპორიჟიე-ხერსონის ოლქებში. შემდეგ პუტინმა დაამატა, რომ რუსებს არ სურთ სისხლისღვრა, ამიტომ ვცდილობთ შეტაკებები თავიდან ავიცილოთ და ზოგჯერ რიგ დასახლებულ პუნქტებსაც ვტოვებთო.

შემდეგ რუსეთის დიქტატორმა დაამატა, რომ მიუხედავად რუსი ხალხის ჰუმანური ბუნებისა, იძულებული ვართ, რიგი კონტრნაბიჯები გადავდგათო. ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯია რუსული თვითმფრინავების მიერ შავი ზღვის პატრულირება. ეს თვითმფრინავები „ხანჯლის" ტიპის რაკეტებითაა აღჭურვილი და მათი ჩამოგდებაც შეუძლებელიაო.

– საღად მოაზროვნე უკრაინელმა პოლიტიკოსებმა ეს უნდა გაითვალისწინონ! ჩვენ, რუსები, მომთმენი ხალხი ვართ, მაგრამ მოთმინებასაც აქვს საზღვარი! თუ უკრაინელი ნაციონალისტების მხრივ მტრული მოქმედებები გაგრძელდა, იძულებული ვიქნებით, ამ ქვეყნის მასობრივი დაბომბვები დავიწყოთ! – დაიმუქრა პუტინი.

ამ სიტყვებმა კიევში დიდი რეზონანსი გამოიწვია. უკრაინელმა ექსპერტმა კრივოლაპმა განაცხადა, რომ „ხანჯლის" ტიპის რაკეტების ჩამოგდება მართლაც იოლი არაა და 2023 წლის მაისამდე ამას ძლივს ვახერხებდითო. ვითარება შეიცვალა ამა წლის მაისში, როცა ამერიკელებმა უკრაინას „პეტრიოტები" მიაწოდეს.

დავუმატოთ ამას ისიც, რომ აშშ-მ უკრაინას გადასცა „ატაკამსის" ტიპის შორსმსროლელი რაკეტები. მათ შეუძლიათ მიზანს ასობით კილომეტრზე მისწვდნენ. რუსებმა ეს თავიანთ თავზე უკვე იწვნიეს, როცა სწორედ „ატაკამსის" ტიპის რაკეტებით აფეთქდა ლუგანსკის და ბერდიჩევის სამხედრო აეროდრომები. ახლო მომავალში ასეთი აქციები გაძლიერდება, ანუ აფეთქდება უკვე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე განთავსებული სამხედრო ობიექტები.

ამ ფონზე პუტინის მუქარა შავი ზღვის პატრულირების დაწყების შესახებ, ელემენტარულად ღიმილს იწვევს. ის შეიძლება შევადაროთ ბებერი და აწ უკვე ჰბილებდაცვენილი ძაღლის ყეფას.

ზელენსკიმ რუმინეთის პრემიერი მიიღო

უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ რუმინეთს პრემიერი ჩოლაკი მიიღო. საუბრის ძირითადი თემა შავ ზღვაზე უსაფრთხოების დაცვა იყო.

ზელენსკიმ და ჩოლაკმა განიხილეს სამხედრო სფეროში თანამშრომლობის საკითხიც.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 4.992, სამხედრო ბრონირებული მანქანები – 9.437, არტილერია – 6.983, თვითმფრინავები – 320, განადგურებულია 290.680 ოკუპანტი. უკრაინელთა დანაკარგია 45.000 ჯარისკაცი.

ხერსონის ოლქში, დნეპრის მარცხენა ნაპირზე, უკრაინული დესანტი გადასხდა. მათ რუსების პოზიციები დაიკავეს. ბრძოლები გრძელდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ფეხბურთელი შეეცადა, პოლიციელისთვის მოპარული ვაზა მიეყიდა

დიდ ბრიტანეთში განაჩენი გამოუტანეს „ვესტ ჰემ იუნაიტედის" ახალგაზრდული გუნდის ყოფილ ფეხბურთელ კეინ რაიტს, რომელიც შვეიცარიის მუზეუმიდან გატაცებული უძველესი ვაზას გაყიდვას ცდილობდა.

2019 წლის ივნისში უცნობმა პირებმა ჟენევის შორეული აღმოსავლეთის ხელოვნების მუზეუმში შეაღწიეს, სადაც იაპონური და ჩინური ფაიფურის, ნეფრიტის ნაკეთობები და ხელოვნების ნაწარმოებები იყო გამოფენილი. მათ რამდენიმე ექსპონატის გატაცება მოახერხეს, მათ შორის მე-15 საუკუნის ჩინური ვაზა, რომელიც იმპერატორ იუნლეს მმართველობის დროს იქნა დამზადებული. დაზღვევის დროს ის 2,5 მილიონ დოლარად იქნა შეფასებული.

მიმდინარე წლის ზაფხულში კეინ რაიტი და მისი თანამზრახველები დევიდ ლემინგი და ლესლი ნხვა მოპარული ვაზის გაყიდვას შეეცადნენ. პოტენციური მყიდველი სინამდვილეში გადაცმული პოლიციელი აღმოჩნდა. თავდაპირველად ვაზაში მათ მილიონი ფუნტი სტერლინგი მოითხოვეს. პოლიციელი მათ სამ თვეზე მეტი ხნის მანძილზე ევაჭრებოდა და ფასის 450 ათას ფუნტამდე დაწევა მოახერხა. მალე კი სამივე დააპატიმრეს.

არ ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აღმოჩნდა მოპარული ვაზა რაიტის, ლემინგის და ნხვას ხელში. სამართალდამცავ ორგანოებში ვარაუდობენ, რომ მათ ქურდობაში პირადად მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა კავშირი ჰქონდათ დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან.

რაიტს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ლემინგი ციხეში სამ წელს და ექვს თვეს გაატარებს, ხოლო ნხვას სასჯელად ორწელიწად-ნახევარი პატიმრობა განესაზღვრა.

ქურდებმა 35 ბიოტუალეტი მოიპარეს

დიდ ბრიტანეთში პოლიცია ეძებს ქურდებს, რომლებმაც 35 ბიოტუალეტი მისი შიგთავსიანად მოიპარეს.

აღნიშნული დანაშაული ჰერეფორდშირის საგრაფოს ქალაქ პენტკომბის საავტომობილო კლუბის ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი. იქ გაიმართა რბოლები და მისმა ორგანიზატორებმა ოჯახური კომპანიისგან 35 ბიოტუალეტი იქირავეს. პოლიციის მონაცემებით, ქურდებმა რბოლის დასრულების შემდეგ, ღამით კარის საკეტი გადაჭრეს და ბიოტუალეტები ფორდ ტრანზიტის მისაბმელიან სატვირთო მანქანაზე დატვირთეს. ამასთან ზოგიერთი ტუალეტი ჯერ დასუფთავებული არ ყოფილა.

ბიოტუალეტების დაკარგვის ფაქტი ოჯახური კომპანიის მფლობელის შვილმა, 26 წლის კირან გრიფიტსმა აღმოაჩინა, რომელიც ადგილზე მათ წასაღებად მივიდა. 53 წლის ნილ გრიფიტსმა, რომელიც იმ დროს შვებულებაში იმყოფებოდა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამ ქურდობამ შესაძლოა მისი ბიზნესი დაასამაროს.

გრიფიტსის თქმით, ბოროტმოქმედებმა მათი ქონების თითქმის მეოთხედი მოიპარეს. ამასთან მოპარული კაბინები იმ ბიოტუალეტების 80 პროცენტს შეადგენს, რომელთაც გრიფიტსები მასობრივი ღონისძიებების ორგანიზატორებზე აქირავებენ. კომპანიას ყოველი ახალი ბიოტუალეტის კაბინის შეძენა დაახლოებით ათასი ფუნტი სტერლინგი დაუჯდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მძღოლს სიჩქარის გადაჭარბებისთვის სოლიდური ჯარიმა გამოუწერეს

აშშ-ში მძღოლს სიჩქარის 56 კილომეტრი საათში სიჩქარით გადაჭარბებისთვის 1,4 მილიონი დოლარის ჯარიმა მიუვიდა.

ელექტრონული ქვითარი უზარმაზარ თანხაზე ჯორჯიის შტატის ქალაქ სავანას მკვიდრ კონორ კეიტოს მიუვიდა. მან იცოდა, რომ წესები დაარღვია, თუმცა არ მოელოდა, რომ ამისთვის თითქმის მილიონნახევარი დოლარის გადახდა მოუწევდა. მან სასამართლოში დარეკა და იკითხა: „ეს რა, უბრალოდ, ბეჭდვის დროს დაშვებული შეცდომაა?" რაზეც ქალისგან პასუხად მოისმინა: „არა, სერ, თქვენ ან უნდა გადაიხადოთ ქვითარში მითითებული თანხა, ან 21 დეკემბერს 13:30 საათზე უნდა გამოცხადდეთ სასამართლოში".

თუმცა მალე გაირკვა, რომ უზარმაზარი ჯარიმა უბრალოდ ხელისუფლების ხრიკი იყო იმისთვის, რომ კანონდამრღვევი აეძულებინათ სასამართლოში გამოცხადებულიყო. სინამდვილეში კი სიჩქარის გადაჭარბებისთვის რეალური ჯარიმა 1000 დოლარს არ უნდა აღემატებოდეს.

ქალაქ სავანის ადმინისტრაციის წარმომადგენლის განცხადებით, მსგავსი ჯარიმები მისდის ყველა იმ დამრღვევს, რომლებმაც დადგენილ ზღვარს საათში 56 კილომეტრი სიჩქარით გადააჭარბეს. კეიტოს ავტომობილი გზაზე 144 კილომეტრი საათში სიჩქარით მოძრაობდა, სადაც მხოლოდ 90 კილომეტრი საათში სიჩქარითაა დაშვებული მოძრაობა.

სპორტი

მიქაუტაძეს აიაქსის გადარჩენა შეუძლია

მას შემდეგ, რაც გიორგი მიქაუტაძემ ტაილანდის ნაკრებს ოთხი, ხოლო კვიპროსს ერთი გოლი გაუტანა, ნიდერლანდებში სულ უფრო და უფრო აქებენ და მისგან მეტს მოითხოვენ.

მიქაუტაძეს მხარდამჭერები იქაურ მასმედიაშიც გამოჩნდნენ, სადაც ღიად წერენ, რომ ქართველის პოზიცია ცენტრალური ფორვარდია და აიაქსში შანსი არ ეძლევა.

მეტიც, მედია იმასაც წერს, რომ მიქაუტაძის კარგი თამაში აიაქსის მწვრთნელ მაურის სტეინის ინტერესშიც უნდა შედიოდეს, რადგან მის ამსტერდამულ კარიერას წყალი შეუდგა და პოსტის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება.

„სანაკრებო პაუზის დროს გიორგი მიქაუტაძემ მოახერხა ის, რაც ჯერ აიაქსის მაისურით არ გაუკეთებია – გოლები გაიტანა. ქართველმა თავდამსხმელმა საკუთარი ხასიათი გამოიკეთა. ახლა დროა ამსტერდამელთა რიგებშიც წინა პლანზე გამოვიდეს. შესაძლოა, მოულოდნელად ჟღერს, მაგრამ სწორედ მიქაუტაძეს აქვს შანსი, სტეინი პოსტიდან დათხოვნისგან გადაარჩინოს.

მართალია, მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის არცთუ ჯანსაღი ურთიერთობაა, მაგრამ ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე, მიქაუტაძეს შეუძლია აიაქსისთვის ბევრი რამ შეცვალოს. საამისოდ, მისი კლუბში სწორად გამოყენებაა საჭირო.

სტეინის მხრიდან სწორი იქნება, თუკი ქართველ შემტევს ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე გამოიყენებს. ბრაიან ბრობიც მეტ კონკურენციას იგრძნობს და ეს ყველასთვის კარგია. იქნებ, ამ შემთხვევაში, ბრობიც გამოფხიზლდეს და გოლების გატანა დაიწყოს, მიქაუტაძეს კი შანსი მიეცემა, ნიდერლანდელ ქომაგებს აჩვენოს, როგორია მისი საგოლე ინსტინქტები" – წერს მედია.

შეგახსენებთ, მიქაუტაძე აიაქსში ფრანგული მეციდან 16 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა. ერედივიზიონის მიმდინარე სეზონში კი, აიაქსს მხოლოდ 5 ქულა გააჩნია და მისთვის უჩვეულო მე-16 ადგილზე იმყოფება.

ამსტერდამელები მომდევნო მატჩს 22 ოქტომბერს, სტუმრად, უტრეხტთან ჩაატარებენ.

შენგელია ევროლიგაში ტურის საუკეთესო კალათბურთელია

ნბა-ში გრძელდება წინასასეზონო საგამოფენო მატჩები. რეგულარული სეზონის დაწყებამდე ბოლოსწინა მატჩი ჩაატარა სანდრო მამუკელაშვილის სან ანტონიო სპურსმა. ქართველი კალათბურთელის გუნდმა ჰიუსტონ როკეტსი 117:103 დაამარცხა.

სან ანტონიოს მთავარმა მწვრთნელმა, გრეგ პოპოვიჩმა შემადგენლობაში მყოფ, თითქმის, ყველა კალათბურთელს მისცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. მამუკელაშვილმა მხოლოდ 8 წუთი მიიღო, რა დროშიც 4 ქულა, 1 მოხსნა, 1 შედეგიანი პასი და 1 ჩაჭრა დააგროვა.

სეზონისთვის მზადებას სან ანტონიო 21 ოქტომბერს გოლდენ სტეიტ უორიორსთან თამაშით დაასრულებს, ხოლო რეგულარული სეზონის პირველ მატჩს 26 ოქტომბერს დალასის წინააღმდეგ საკუთარ მოედანზე გამართავს.

ევროლიგის მესამე ტურში ვირტუს ბოლონიამ საკუთარ მოედანზე გერმანულ ალბას უმასპინძლა და 87:76 დაამარცხა.

იტალიური გუნდის რიგებში საუკეთესო თორნიკე შენგელია გახლდათ. ქართველმა ფორვარდმა პარკეტზე 27 წუთი გაატარა და ამ დროის განმავლობაში 26 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი მოუგროვდა.

შენგელიამ გერმანულ კლუბს 9-დან 8 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 8-დან 7 საჯარიმო ჩაუგდო.

საქართველოს ნაკრების კაპიტნის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 32 შეადგინა, რაც არა მარტო მატჩის, არამედ მთლიანად ევროლიგის მესამე ტურში საუკეთესო შედეგი გამოდგა და ჩვენებურიც ტურის საუკეთესოდ აღიარეს.

მიმდინარე სეზონში შენგელია ტურის საუკეთესოდ პირველად დასახელდა.

სამი ტურის შემდეგ ვირტუსს ორი მოგება და ერთი მარცხი აქვს. 20 ოქტომბერს ბოლონიელები ცრვენა ზვეზდას მასპინძლობენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ლელო ისევ არ აგებს

აია-ლელო 24:28

თბილისის ლელომ ქუთაისში აიას დაძაბულ ბრძოლაში 28:24 სძლია და დიდი 10-ის მიმდინარე სეზონის სტარტზე მიჯრით მეხუთე გამარჯვება მოიპოვა.

„აია არენაზე" შეკრებილმა ქომაგმა საინტერესო სანახაობა იხილა. ორივე გუნდი ხელდახელ, მაღალ ტემპში ცდილობდა თამაშს. ქუთაისელები განსაკუთრებით სახიფათოები იყვნენ კონტრშეტევებისას და 74-ე წუთამდე ტაბლოზე სასურველ ანგარიშს ინარჩუნებდნენ, მაგრამ მერე ლელო-გარდასახვა მიიღეს და მხოლოდ ნუგეშ-ქულას გამორჩნენ.

საწყის წუთებში მასპინძლებმა თბილისელთა რამდენიმე იერიში მოიგერიეს, მერე მეტოქის 22-ში შერკინების უფლება მოიპოვეს, საიდანაც ბურთი ხაზზე გაიტანეს და გრძელი პასის შემდეგ ოთარ მეტრეველმა ლელო ალამთან გაიტანა, გიორგი ბაბუნაშვილმა კი რთული პოზიციიდან გარდასახა.

აია 31-ე წუთამდე დაცვაში საიმედოდ ირჯებოდა, მაგრამ ბექა მამუკაშვილმა ხაზი გაუჭრა, ვისაც კარგად მიყვა შალვა აფციაური, რომელმაც ბოლო მცველს გვერდი აუარა. ლელო ლუკა ცირეკიძემ გარდასახა. ტაიმის მიწურულს ორივე გუნდს ჰქონდა დაწინაურების შანსი, მაგრამ ჯერ ცირეკიძეს გაუცუდდა ახლოდან დარტყმული ჯარიმა, მერე მასპინძლებს – 7:7.

მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად დაიწყო. აიამ სტუმართა შეტევები მოიგერია, 47-ე წუთზე თავად გაშალა იერიში, საბა ხონელიძემ კარის წინ ხაზი გაგლიჯა და ლელოს 10 მეტრამდე მიუახლოვდა. იქ ქუთაისელებმა ჯარიმა სწრაფად გაითამაშეს და ფორვარდების რამდენიმე დარტყმის შემდეგ ლელო მიხეილ ბაბუნაშვილმა გაიტანა, გიორგიმ კი, გარდასახა.

ამ ეპიზოდში ლელომ სინბინით ვაჟა მიქაძე დაკარგა. აიამ კაცნაკლულ მეტოქეს შეუტია და ყველა ჯერზე შეძლო უპირატესობის ხაზის გადაკვეთა, 22-ში შესვლის შემდეგ კი გიორგი ბაბუნაშვილმა ბურთი ფეხით ფრთაზე გადაკიდა, სადაც მას ამირან შვანგირაძე დაეუფლა და ლელო ალამთან გაიტანა. ბაბუნაშვილი რთული პოზიციიდან ზუსტი იყო.

დასკვნით მეოთხედში სტუმრებმა თამაშს კიდევ უფრო მოუმატეს და მოკლე პერიოდში წონასწორობა აღადგინეს. 62-ე წუთზე მათ მიერ აგორებული საფირმო მოლი ბექა ყორიაულის ლელოთი დასრულდა, ორიოდე წუთში კი გაგა ქევხიშვილი დაეუფლა ფეხით გადაკიდებულ ბურთს, დაიძრა და დაცვის ხაზი ლელომდე სუფთად გაიარა. ცირეკიძემ ორივე გარდასახვა გამოიყენა.

ბაბუნაშვილმა 70-ე წუთზე გატანილი შორეული ჯარიმით აია კიდევ ერთხელ დააწინაურა, მაგრამ დასკვნით წუთებში მასპინძელთა დაცვაში სივრცეები გაჩნდა, რითაც კარგად ისარგებლა შალვა აფციაურმა, სივრცეში მაღალ სიჩქარეში შევიდა და ლელო ძელებშუა გაიტანა, ცირეკიძემ კი საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე დუბლის ავტორი შალვა აფციაური გახდა.

ლელოს 5 თამაშიდან 20 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზეა. მან ასევე შეინარჩუნა „სარბიელის სინი". აია 12 ქულით მეექვსე საფეხურზეა.

ახალი-ხარები 22:28

დაძაბულ ბრძოლაში შინ წააგო მეორე ქუთაისურმა გუნდმა არესმაც. საქართველოს ჩემპიონმა რუსთავის ხარებმა მეტოქის წინააღმდეგობა დასკვნით 30 წუთში გატეხა და 28:22 იმარჯვა.

ხარებისთვის ეს მიმდინარე სეზონში მეოთხე გამარჯვებაა, 18 ქულა დაუგროვდა და კონკურენტების თამაშამდე პირველ ადგილზე აღზევდა. არესს ნუგეშის ქულა ერგო, სულ კი 6 მოუგროვდა და მე-7 ადგილზეა.

პირველ ტაიმში ორივე გუნდი ხშირად ცდებოდა და ტემპიც დაბალი იყო. თუმცა, მასპინძლები ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ და მეტოქის ერთი ლელოს წილ სამი მიითვალეს. თუმცა, სამივე გარდასახვა გაუცუდდათ და ტაიმი 15:7 მოიგეს. არადა, პირველ ტაიმში სამივე აცილებული გარდასახვის ქულებით არესი მინიმუმ ფრეს ითამაშებდა.

მეორე ტაიმში არესმა კიდევ ერთი ლელო დადო, რომელიც ამ ჯერზე გარდასახეს და არესმა სოლიდური უპირატესობა მიიღო – 22:7.

დარჩენილ დროში რუსთაველებმა ტემპი ააჩქარეს და გამარჯვებამდეც მივიდნენ: გურამ ქანდაურაშვილმა მარჯვენა ალამთან ლელო გაიტანა; შემდეგ ხვიჩა ბუჯიაშვილს კარგად მიყვა თამაზ ჭამიაშვილი და ლელოში შევიდა; ბოლოს ბაქარ ზედგინიძე მცველებს გაექცა და...

ყოჩები-ბათუმი 14:13

ბოლნისის ყოჩებმა ბათუმს მინიმალური სხვაობით სძლია და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე აღზევდა. ბათუმმა კი, ზედიზედ მეორე შეხვედრა დათმო, მაგრამ ნუგეშ-ქულა ამჯერადაც აიღო და მე-4 პოზიციაზე დარჩა.

„რაგბი პლატზე" გამართულ შეხვედრაში ორივე გუნდი ხშირად ცდებოდა და ტემპიც დაბალი იყო. ყოჩები შესვენებაზე მინიმალური უპირატესობით გავიდნენ – 11:10.

მეორე ტაიმი კიდევ უფრო ჩაკეტილი გამოდგა – გუნდებმა თითო ჯარიმა გაიტანეს და ყოჩებმა 14:13 იმარჯვა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ბოლნისელთა ფულბეკი სოსო მათიაშვილი გახდა.

ხვამლი-ახნიავები 38:13

თბილისის ხვამლმა ოზურგეთელ ახნიავებს შეცდომები არ აპატია, 5 ლელო გაუტანა და ბონუს-ქულით – 38:13 დაამარცხა. მაყურებელმა კი ეპიზოდურად სანახაობრივი რაგბი, ოფლოუდები და ჯამში 7 ლამაზი ლელო იხილა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ბაჩანა ბაიოხიძე გახდა.

ამ მოგების შემდეგ ხვამლს 15 ქულა გაუხდა და სატურნირო ცხრილში ლიდერებში გაერია, დებიუტანტი არწივები 5 ქულით ბოლოსწინა მე-9 პოზიციას იკავებს.

ყაზბეგი-აკადემია 55:9

სტეფანწმინდის ყაზბეგმა თბილისის აკადემიას 9 ლელო გაუტანა და დაგეგმილი ბონუსით, 55:9 გაიმარჯვა.

აუტსაიდერმა მეტოქეს მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა საწყის 20 წუთში გაუწია. ერეკლე თათარაშვილმა ორი ლელოს პასუხად ორი ჯარიმა გაიტანა, მესამე ზუსტი დარტყმა კი ტაიმის მიწურულს შეასრულა, მაგრამ ამან საერთო სურათი ვერ შეცვალა. მასპინძლებმა პირველ ტაიმში 6, ხოლო მეორეში სამი ლელო გაიტანეს.

ორი ლელო საბა ნიკოლაშვილმა მიითვალა, თითო-თითო კი გიორგი წიკლაურის, ნიკა ბაგაშვილის, გელა მახარაშვილის, კობა სილაგაძის, ლევან ქუშაშვილის, ისმაილ მარსაგიშვილისა და იაგო გელაძის ანგარიშზეა. მატჩის საუკეთესო მოთამაშე ლევან ქუშაშვილი გახდა.

ყაზბეგს 5 თამაშიდან 10 ქულა აქვს და მე-7 ადგილზეა, ხოლო აკადემია კვლავაც უქულოდაა.

სატურნირო ცხრილი:

1.ლელო	5	5	0	0	131-94	20
2.ხარები	5	4	0	1	159-65	18
3.ყოჩები	5	4	0	1	120-75	18
4.ბათუმი	5	3	0	2	167-88	15
5.ხვამლი	5	3	0	2	183-68	15
6.აია	5	2	0	3	142-100	12
7.ყაზბეგი	5	2	0	3	121-103	10
8.არესი	5	1	0	4	105-129	6
9.არწივები	5	1	0	4	122-176	5
10.აკადემია	5	0	0	5	28-372	0

თსუ-მ ევროპა ბრძოლით დაიწყო

გიოტინგენი-თსუ 86:81
(12:20; 28:13; 21:25; 25:23)

ფიბა ევროპის თასზე 5-წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა ქართულმა გუნდმა ღირსეული თამაში აჩვენა. საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა თსუ-მ, რომელმაც თავდაპირველად ბედი ჩემპიონთა ლიგაში სცადა, საკვალიფიკაციო ეტაპზე მწარე მარცხი განიცადა. ამის შემდეგ კი, სტუდენტურმა გუნდმა საფეხურით დაბლა მდგომ ევროტურნირზე გადაინაცვლა და პირველივე მატჩში მოგების რეალური შანსი ჰქონდა. ამასთან, ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ეს ნომინალური გამთამაშებლის გარეშე და, ფაქტობრივად, 7 კალათბურთელით მოახერხა. მერვე კალათბურთელი, რომელმაც მოედანზე ფეხი დადგა, თსუ-სთან მხოლოდ ერთი ვარჯიში ჰქონდა ჩატარებული და მწვრთნელებმა მხოლოდ 28 წამით ათამაშეს.

თსუ-ს მეტოქე უბრალო გუნდი არ გახლდათ – საკუთარი ქომაგებით სავსე დარბაზში მოთამაშე გიოტინგენი გერმანული ბუნდესლიგის წევრია. გერმანია კი, ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ნაკრებშიც არაერთი ბუნდესლიგელი ჰყავდა.

მატჩის შემხედავი ვერავინ იტყოდა, რომ გუნდებს შორის რაიმე მნიშვნელოვანი სხვაობა იყო. საწყისი პერიოდი თსუ-მ 20:12 მოიგო. როგორ მოახერხა თსუ-მ პერიოდის მოგება და შემდეგ 10 ქულით დაწინაურება? სათამაშო დისციპლინის მკაცრი დაცვით. თსუ-ს ტანმაღალ მოთამაშეებს – გიორგი ტურძილაძეს და ალექსანდრე ფევაძეს საკუთარი სამწამიანი ზონა საიმედოდ ჰქონდათ გადაკეტილი და იქ გერმანელთა ცენტრებს არ უშვებდნენ. გიოტინგენმა თსუ ვერც სისწრაფეში დაჩაგრა, ხოლო შორი სროლები მასპინძლებს არ წაუვიდათ, რაც ისევ და ისევ უნივერსიტეტელთა საიმედო, მჭიდრო დაცვის დამსახურება გახლდათ.

არადა, გიორგი ცინცაძისა და რატი ანდრონიკაშვილის არყოფნაში თსუ-ს გამთამაშებელი აღარ დარჩა. ეს მისია ტაირი ბოიკინმა ითავა, რომელიც ეგრეთწოდებული მსროლელის პოზიციაა და ამ თამაშში ეს სახელი ხომ გაამართლა და ბურთიც ჩინებულად გაათამაშა. ბოიკინმა 38 წუთზე მეტ ხანს ითამაშა და ბურთი მხოლოდ 2-ჯერ დაკარგა. მისი მოვალეობა ბურთის თსუ-ს შეტევ კახა ჯინჭარაძემდე მიტანა იყო, მაგრამ მეორე ნახევარში ბოიკინი მთავარი პირი გახდა და სამქულიანებით თსუ-ს ბოლო წუთებზე დაწინაურებაში ხომ შეეშველა, თითქმის უიმედო სიტუაციაში ლამის სენსაცია მოახდინა.

სწორედ აღნიშნული ეპიზოდი და მისი წინა სათამაშო სცენარი იყო მატჩის გადამწყვეტი. მეორე პერიოდში 10 ქულით ჩამორჩენის შემდეგ, თსუ-მ მოახერხა თამაშის დალაგება და მესამე პერიოდში ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა. თსუ ბოლო წუთებამდე ბრძოლით მივიდა, რაშიც მოედანზე მყოფ ყველა მოთამაშეს სოლიდური წილი მიუძღვის. ჯინჭარაძე მანამდეც აქტიური იყო და თსუ დიდი სხვაობით რომ არ ჩამორჩა, მისი დამსახურებაა, მაგრამ ბოლო პერიოდში დიდებულად ითამაშა ალექსანდრე ფევაძემ, რომელმაც 2 სამქულიანი ჩააგდო და თანაგუნდელების აცილებული და ფარქვეშ მოპოვებული ბურთები გიოტინგენის კალათში ჩააბრუნა.

სწორედ ფევაძის ზუსტი სამქულიანის შემდეგ, თამაშის დასრულებამდე 2:28 წუთით ადრე, თსუ 78:75 დაწინაურდა, რასაც მასპინძელთა კალათბურთელების – ბოდი ჰუმეს და დეონდრე ბარნსის 2-ქულიანები მოჰყვა და მასპინძლები დასრულებამდე წუთნახევრით ადრე კვლავ დაწინაურდნენ – 79:78.

ორივე გუნდის შეცდომების გამო შემდეგი წუთი კალათში ბურთი არ ჩავარდნილა. ბოლოს მასპინძელთა სამფაზიანი შეტევა დაიწყო: გრანტ ანტიჩევიჩმა სამქულიანი ააცილა, კარლის სილინსმა მოხსნა და ბარნსმა საშუალო დისტანციიდან შეუტია; ბურთი ისევ ასცდა მიზანს, მაგრამ კვლავ გერმანელებმა მოხსნეს, რის შემდეგაც ფიოდორ ზუგიჩმა სამქულიანი ჩააგდო და მატჩის დასრულებამდე 15 წამით ადრე მასპინძლები 82:78 დაწინაურდნენ.

ეს ფაქტობრივად გიოტინგენის გამარჯვებას ნიშნავდა. ლაფანაშვილმა წუთშესვენება აიღო, შეტევა დაგეგმა, მაგრამ ბევრად უკეთესი განვითარება მოჰყვა – ბოიკინმა სამქულიანი ისე ჩააგდო, რომ მეურვეც დააჯარიმა. 13 წამით ადრე ბოიკინს საჯარიმოს ხაზიდან ანგარიშის გათანაბრების შანსი მიეცა. სამწუხაროდ, ამერიკელმა უკანახაზელმა ბურთი ვერ ჩააგდო და როცა მოხსნა მასპინძლებს დარჩათ, თსუ-მ ტაქტიკური ჯარიმა აიღო. თამაშის დასრულებამდე 10 წამით ადრე ზუგიჩმა ორივე საჯარიმო ჩააგდო და გიოტინგენი 84:81 დაწინაურა.

ჩვენებს ისევ ჰქონდათ გათანაბრების შანსი, მაგრამ ჯინჭარაძე სამქულიანის სასროლად ხელსაყრელ პოზიციაზე ვერ დარჩა და მისი აცილებულის შემდეგ ყველაფერი დასრულდა. თეორიული შანსის მქონე თსუ საფინალო სირენამდე 1 წამით ადრე კვლავ დაჯარიმდა და სამის ნაცვლად ხუთი ქულით წააგო.

სხვათა შორის, ბოლოს აღებული ჯარიმაც არასწორად მოგვეჩვენა, რადგან ჯგუფური ეტაპის ბოლოს, შესაძლოა, ერთმანეთში ნაჩვენები შედეგები დასათვლელი გახდეს და ყველა ქულას მნიშვნელობა ჰქონდეს.

არადა, თსუ-მ მეტოქეს რამდენიმე კომპონენტში აჯობა და მაინც დამარცხდა. თბილისურმა გუნდმა მეტოქეზე უკეთესი პროცენტულობით ესროლა; გიოტინგენზე მეტი ბურთი მოხსნა; პასებში თანაბრობა იყო; მასპინძლებმა იმარჯვეს იმით, რომ თსუზე სამით მეტი საჯარიმო ჩააგდეს.

თსუ ფიბა ევროპის თასზე მორიგ მატჩს 25 ოქტომბერს, თბილისი არენაზე ჩაატარებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კეიტ მოსის უმცროსი და საზოგადოებაში ეროტიკული სამოსით გამოვიდა

ბრიტანელი მოდელის კეიტ მოსის უმცროსი და ლოტი Glamour Women of the Year-ის წვეულებაზე ეროტიკულ სამოსში გამოწყობილი გამოვიდა.

25 წლის მანეკენი ხალიჩადაფენილ ბილიკზე ყვავილებიან მინი-კაბაში გამოწყობილი გამოვიდა, რომლის გამჭვირვალე ქსოვილი მის მკერდს სრულად წარმოაჩენდა. ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ კადრებში ჩანს, რომ მან უარი თქვა ბიუსჰალტერზე. ფეხზე კი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა. ამავე დროს მას თმები გაშლილი, ხოლო სახეზე გამჭვირვალე მაკიაჟი ჰქონდა გაკეთებული.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული ღონისძიება ლონდონში გაიმართა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მაკლერის გასამრჯელო ბირჟაზე; 2. მეფის საჭმლის გამსინჯავი, შემმოწმებელი პირი ძველად საქართველოში; 3. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 4. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 5. ტროის აღმომჩენი გერმანელი არქეოლოგი, მილიონერი, მეცენატი; 8. არსებობის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული, ღატაკი ადამიანი; 9. ტყუპი ცხოველის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ქართველი მოქანდაკე ქალი; 13. ძვირფასი ლითონი; 16. აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი; 17. ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური მოქმედების სრული დაქვეითება, უუნარობა; 19. პატარა თავებად შეკრული თეთრი ან ყვითელი ფერის ყვავილების მსხმოიარე მერქნიანი მცენარე; 20. სასიგნალო კოშკი ზღვის სანაპიროზე.

თარაზულად: 6. თამარ მეფის დედის სახელი; 7. მთიანეთი აზიაში; 8. ზომიერი კლიმატური სარტყლის სახელწოდება აშშ-ში; 10. ქართული ძილისპირული; 11. ქალაქის ტიპის დასახლება; 15. ფრანგი პოლიციელი; 14. სასტუმრო თბილისში; 18. რაიონული ცენტრი კახეთში; 21. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 22. მტრედის ბარტყი; 23. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 24. ქართველი პიანისტი ქალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. უზნაძე; 2. ცემი; 3. ჭაშნაგირი; 4. დანტე; 5. ჭიათურა; 8. ინდიგო; 9. ალტიმეტრი; 12. სუძუკი; 14. ჯორჯია; 16. ისანი.

თარაზულად: 1. უფლისციხე; 6. კამპრადი; 7. ნაციზმი; 9. აფონია; 10. პერუ; 11. ვიკონტი; 13. ჰიჯრა; 15. ხუტორი; 17. დიადორა; 18. კურაგა; 19. კორიფე; 20. მირიანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ნუსხური; 2. თარხანი; 3. სარდინია; 4. ლომისა; 5. ლოკჰიდი; 8. მოზაიკა; 9. სალივანი; 12. ალავერდი; 13. კაზუარი; 16. ნადირაძე; 17. ტავრიდი; 19. რწყილი; 20. ნაბუკო.

თარაზულად: 6. კურლანდია; 7. ბოსფორი; 8. მოდული; 10. გუანაკო; 11. ჟიგა; 14. აკაპულკო; 15. ზარზუელა; 18. ქაშერი; 21. წერაქვი; 22. ბაღჩა; 23. ირონია; 24. ტელესკოპი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

20 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6960

ევრო — 2.8445

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2662

100 რუსული რუბლი — 2.7692

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავი: „ტრავმირებული ფეხბურთელები მალე დაგვიბრუნდებიან“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა თავის ტრავმირებულ ფეხბურთელებზე ისაუბრა და თქვა, რომ ისინი მალე დაბრუნდებიან და ბარსელონას მათ გარეშეც უნდა შეეძლოს თამაში:

– ტრავმები სერიოზული პრობლემაა, მაგრამ ბარსელონა არ მიეკუთვნება იმ გუნდების კატეგორიას, რომლებიც ვერ პოულობენ გამოსავალს და ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ტიტულებისთვის ბრძოლა. რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელი მალე დაგვიბრუნდება.

ხვიჩა კვარაცხელია ნაპოლიში დაბრუნდა

საქართველოს ნაკრებისა და ნაპოლის ლიდერი ხვიჩა კვარაცხელია უკვე ნაპოლიშია და თავისი გუნდის მომავალი შეხვედრისთვის ემზადება. ხვიჩა ერთი კვირით საქართველოში იყო, ნაკრებთან ერთად წარმატებით იასპარეზა და ამის გარდა, მან ცოლიც მოიყვანა, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ კვარაცხელიამ საქართველოში ნაყოფიერი პერიოდი გაატარა. ნაპოლი შემდეგ შეხვედრას სტუმრად ვერონასთან ჩაატარებს.

ნეიმარმა სერიოზული ტრავმა მიიღო

ბრაზილიის ნაკრების ლიდერმა ნეიმარმა ურუგვაისთან შეხვედრაში სერიოზული ტრავმა მიიღო და მას, სავარაუდოდ, 6 თვე გაუცდება და შესაძლოა ოპერაციაც დასჭირდეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნეიმარმა მყესი გაიწყვიტა და მისი დაბრუნება წლევანდელ სეზონში თითქმის შეუძლებელი იქნება. ბოლო წლებში ეს ნეიმარისთვის უკვე მესამე სერიოზული ტრავმაა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ხატია ბუნიათიშვილმა ფესტივალზე „ევროპალია-საქართველო“ დაუკრა

ბელგიაში ფესტივალზე „ევროპალია-საქართველო“ პიანისტმა ხატია ბუნიათიშვილმა სოლო კონცერტი გამართა.

ბრიუსელის კულტურის ცენტრ „ბოზარში“ მუსიკოსმა მრავალფეროვანი რეპერტუარი შესთავაზა აუდიტორიას და ბახის, შოპენის, შუბერტის, ლისტის ნაწარმოებები შეასრულა. „ბისზე“ კი გია ყანჩელის კომპოზიცია დაუკრა. ხატიას კონცერტმა ტრადიციულად სრული ანშლაგითა და დამსწრე საზოგადოების მხურვალე აპლოდისმენტებით ჩაიარა.

ბელგიაში ოფიციალურად გაიხსნა კულტურის საერთაშორისო ფესტივალი „ევროპალია“, რომელშიც საქართველო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წელს პირველად მონაწილეობს. „ევროპალია-საქართველოს“ ეგიდით 4 ოქტომბრიდან 2024 წლის თებერვლის ჩათვლით ბელგიასა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში მასშტაბური და მრავალფეროვანი ღონისძიებები გაიმართება.

ფესტივალი უნიკალური შესაძლებლობაა ევროპის პოლიტიკურ ცენტრში საქართველოს ისტორიისა და კულტურის წარმოსაჩენად, განსაკუთრებით – წლის ბოლოს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების მოლოდინის ფონზე.

კულტურის საერთაშორისო ფესტივალი „ევროპალია“ 2 წელიწადში ერთხელ იმართება და აერთიანებს კულტურულ და შემოქმედებით ღონისძიებებს, მულტიდისციპლინურ და მულტინაციონალურ პროექტებს, რომლებიც სტუმარი ქვეყნების კულტურულ მემკვიდრეობას, ტრადიციულ და თანამედროვე ხელოვნებას წარმოაჩენს.

4 თვის განმავლობაში ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, გაეცნონ საქართველოს მდიდარ და მრავალფეროვან კულტურულ მემკვიდრეობასა და ხელოვნებას. „ევროპალია-საქართველოს“ ფარგლებში 60-მდე ღონისძიება ჩატარდება ბელგიაში, ჰოლანდიასა და საფრანგეთში. ევროპის საზოგადოება დაესწრება ეროვნული საგანძურის 2 მასშტაბურ და ისტორიული მნიშვნელობის გამოფენას, თანამედროვე ქართველი არტისტების პერსონალურ გამოფენებს, მულტიდისციპლინურ პერფორმანსებს, ტრადიციული, პროფესიული და თანამედროვე ელექტრონული მუსიკის კონცერტებს, თეატრალურ წარმოდგენებს, ლიტერატურულ შეხვედრებსა და ქართული კინოს რეტროსპექტივას.

ფესტივალის 2 მთავარი, ქვეყნისათვის უპრეცედენტოდ მასშტაბური გამოფენაა „ავანგარდი საქართველოში – 1900-1936“ და „საქართველო – შეხვედრების ადგილი“. პირველი გა-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

„საბავშვო ევროვიზიაზე“ წარსადგენი სიმღერა ცნობილია

„ცის თავზე“ – ასე ჰქვია ქართულ-ინგლისურენოვან სიმღერას, რომელსაც საქართველო 2023 წლის საბავშვო ევროვიზიაზე წარადგენს.

სიმღერისა და ტექსტის ავტორი მებო ნუცუბიძეა და მას ანასტასია ვასაძე, ოთო ბაზერაშვილი და ნიკოლოზ ხარატი ასრულებენ.

სიმღერაზე ვიდეორგოლი რეჟისორმა ზაზა ორაშვილმა გადაიღო. ვიდეორგოლი საბავშვო ევროვიზიის ოფიციალურ იუთუბ არხზე უკვე განთავსდა და ათასობით ნახვა აქვს.

„საბავშვო ევროვიზია 2023“ ნიცაში 26 ნოემბერს გაიმართება.

ბიძინა კვერნაძის სახელობის მუსიკალური ფესტივალი დაიწყო

კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის სახელის უკვდავსაყოფად საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი დაარსდა.

წელს ფესტივალი 4 კონცერტს გამართავს – 2-ს თბილისში და 2-ს თელავში. ფესტივალი თბილისში რუსთაველის ეროვნულ თეატრში გაიხსნება. ფესტივალის პირველ საღამოს მსოფლიოში აღიარებული საოპერო ვარსკვლავის იანო ალიბეგაშვილის სოლო კონცერტია.

21 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში ახალგაზრდა კომპოზიტორების საავტორო საღამო ჩატარდება. 4 ფრანგი კომპოზიტორი სპეციალურად ეწვევა საქართველოს. მათთან ერთად მსმენელის წინაშე 1 ქართველი კომპოზიტორიც წარდგება.

ფესტივალი 28 და 29 ოქტომბერს თელავში გადაინაცვლებს. პირველი დღე საფორტეპიანო მუსიკის საღამოს დაეთმობა, ფესტივალის დასკვნით კონცერტზე კი თითების თეატრი კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის ბალეტის „სერაფიტას“ მიხედვით გამართავს წარმოდგენას.

ჩხიკვთას სამების ეკლესია დაამახინჯეს

X საუკუნის უნიკალური ძეგლი – ჩხიკვთას სამება თეთრად გადაღებეს. ინფორმაცია და ფოტოები ინტერნეტში ქეთი დიღმელაშვილმა გაავრცელა:

– ხალხო, არ შეიძლება, არა, ასე მოქცევა! თქვენ რომ გგონიათ, კარგს შვრებით, ამ დროს აზიანებთ ძეგლს! ნუ მოქმედებთ ყველა თქვენს ჭკუაზე! ისედაც არ ადგიათ კარგი დღე ძეგლებს და უარესს ნუ მართებთ ეს მლოცველები!

კიდევ როგორ უნდა აგიხსნათ ადამიანმა? უნდა დაგწყევლოთ მაინცდამაინც?!

ჩხიკვთას სამება. მე-10 საუკუნის ძეგლი.

ადგილობრივთა მიერ უნებართვოდ გადაღებილი სექტემბერ-ოქტომბერში.

ბაია საგანელიძე ბულგარეთში საუკეთესოდ დასახელდა

ქართველი მეცო-სოპრანო ბაია საგანელიძე ბულგარეთში საუკეთესოდ დასახელდა. მან მონაწილეობა მიიღო ბულგარეთში გამართულ შერჩევით მასტერკლასებში, რომელსაც ბულგარელი საოპერო დივა რაინა კაბაივანსკა უძღვებოდა. მასტერკლასების სერიაში მთელი მსოფლიოდან მხოლოდ 15 მონაწილე შეირჩა.

მასტერკლასების კურსმა წარმატებით ჩაიარა, რის შედეგადაც ბაია საგანელიძე რაინა კაბაივანსკას ფონდის სტიპენდიანტი გახდა და იტალიაში, ქალაქ მოდენაში მაესტრა კაბაივანსკასთან სწავლისთვის სრული დაფინანსება მოიპოვა.

გიორგი მასხულია საქართველოდან წავიდა

დიზაინერი გიორგი მასხულია საქართველოდან წავიდა. მან საცხოვრებლად ბრიუსელი აირჩია და სამშობლოს რამდენიმე წლით დაემშვიდობა:

– დიახ, მე ბრიუსელში გადმოვედი საცხოვრებლად და მიხარია, რომ ეს ქვეყანა აღმოჩნდა ერთ-ერთი საუკეთესო ევროპაში. ყველაფერი წინ გვაქვს დიდი ამბებით და კარგი მოლოდინებით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ხელის თხოვნა ანრი ჯოხაძის კონცერტზე

მომღერალმა ანრი ჯოხაძემ მცხეთობასთან დაკავშირებით სატახტო ქალაქში კონცერტი გამართა. მომღერლის საღამოს სიურპრიზის გარეშე არ ჩაუვლია.

სიმღერაზე „მე მაინც მოვალ“ ანრიმ სცენაზე სოფი გორჯოლაძე აიყვანა, რომელსაც ლექსო წაველიძემ ვარდების თაიგულითა და ბეჭდით ხელი სთხოვა და საყვარელი ადამიანისგან თანხმობაც მიიღო.

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. მოხეტიალე ილუზიონისტი ინდოეთში; 2. ქართული ლუდი; 3. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 4. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 5. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 8. მაღალმთიანი სოფელი სვანეთში; 9. კომიკური ოპერების სახელწოდება გერმანიასა და ავსტრიაში; 12. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 14. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 16. კანიონი ხონის რაიონში.

თარაზულად: 1. მცენარეთა დაცვა მავნებელი მწერებისგან შხამქიმიკატების შეფრქვევით; 6. აზრის არაპირდაპირი, იგავური გამოხატვა მხატვრულ ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 7. შვედეთის, დანიის, ნორვეგიის მეფეთა ტიტული; 9. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 10. ოპერა „კარმენის“ მუსიკის ავტორი; 11. სამგზავრო-საძინებელი სარკინიგზო ვაგონის გამომგონებელი ამერიკელი მრეწველი; 13. უნგრული ღვინო; 15. პოპულარული ქართული სიმღერა; 17. ჯიბის ქურდი; 18. ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 19. ხურდა ფული თურქეთში; 20. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა